# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაგდება ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 4 ივლისი, 2009 წელი.

№ 135 (6236)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


## 4 ივლისი ამერიკის დამოუკიდებლობის დღეა!



## „კავკასიაში აშშ-ის პოლიტიკის გეოგრაფია ფართოვდება“ 3



## გურამ ოდიშარია: აფხაზები და ქართველები თუ არ შევრიგდით, სოხუმში ჩემი სახლი გინდა ყოფილა, გინდა არა 5

დავიბრუნოთ აფხაზები!

## ახლა ბაიდენი?.. 3 მაგრად დავიბენი... მართლა ვაი ჩვენი!..






## 8 რუსეთი ომის ბილიკს უბრუნდება

## ცხინვალში მშვიდობიანი მოსახლეობის გენოციდში გვადანაშაულებენ 2

## ⴓⴑⴀⴞⴄⴊⴍ ⴓⴔⴊⴈⴑⴚⴈⴞⴄⴊⴈ 6



ის დღესაც ოცდაექვსი წლისაა 7

## 3 „სერენადა“ თუ „ოპერაცია „ვალკირია“

## „ობამამ უნდა გაიგოს, რომ თუ საქართველოს რუსეთს დაუთმობს, 2 კრემლი მხოლოდ ამით არ დაკმაყოფილდება“

## გაზის ტარიფებზე ცვლილებებია 4

**ინფორმაცია**



## ბჟეჟინსკის რჩევები ობამას წაადგება

**ზბიგნევ ბჟეჟინსკი აშშ-ის პრეზიდენტს ბარაკ ობამას კონკრეტულ რჩევებს აძლევს, მოსკოვში ჩასვლის წინ ამერიკის პრეზიდენტს ცნობილი პოლიტოლოგი ღია წერილს უგზავნის.**

ობამა-მედვედევის შეხვედრისას ამერიკის პრეზიდენტმა აღარ უნდა გადადგას ისეთი ნაბიჯი, რაც უგულებელყოფს შეერთებული შტატების სტრატეგიული თანამშრომლობის ქარტიას, რომელიც ამ ქვეყანამ საქართველოსა და უკრაინასთან გააფორმა. მან მედვედევს ამაზე სულ მცირე მინიშნებაც კი არ უნდა მისცეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს რუსეთს მწვანე შუქს აუნთებს ძალისმიერად იმოქმედოს საქართველოსა და უკრაინის წინააღმდეგ, — აცხადებს ბჟეჟინსკი.

## რად გარბოდა სააკაშვილი მაკარტნის კონცერტზე კიევში?

**„დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს„ ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ უკრაინელ ოლიგარქ ვიქტორ პინჩუკთან შეხვედრა დაადასტურა.**

**როგორც მან თქვა იგი კიევში თავად პინჩუკმა მიიწვია, რომლის ფონდთანაც ის აქტიურად თანამშრომლობს.**

სხვათა შორის, მინდა გითხრათ, რომ ამ ადამიანთან სტუმრობას დიდ პატივად მიიჩნევდა მიხეილ სააკაშვილი და რამდენიმე თვის წინათ მისი პირადი სტუმარი თავად იყო და თუ რამე მიუღებელია ამ ადამიანში, რად გარბოდა მისი დაპატიჟებით პოლ მაკარტნის კონცერტზე კიევში, — განაცხადა ბურჯანაძემ ინტერვიუში.

ეს ძალიან საპატივცემულო პიროვნებაა, რომელსაც აქვს ძალიან დიდი ავტორიტეტი არა მარტო კიევში, არამედ დასავლეთში. ამ ხელისუფლებას აქვს პანიკური შიში იმის, რომ მე მაქვს ძალიან სერიოზული საერთაშორისო კონტაქტები, ვიცნობ ძალიან ბევრ მნიშვნელოვან ადამიანს სხვადასხვა კუთხეში და მე ამ კონტაქტებს აუცილებლად გამოვიყენებ, — განმარტა ბურჯანაძემ.

## „საგანგაშო მოვლენა“ პარლამენტში

**დეპუტატი გია ცაგარეიშვილი საქართველოს პარლამენტში მოსალოდნელ რეორგანიზაციას აპროტესტებს და პარლამენტის თავმჯდომარეს მოუწოდებს, არ დაიწყოს პოლიტიკური ნიშნით ადამიანების დევნა.**

როგორც გია ცაგარეიშვილმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე განაცხადა, პარლამენტში 15 ივლისიდან „საგანგაშო მოვლენა“ იგეგმება და იმ ადამიანებს, რომლებიც საპროტესტო აქციებში მონაწილეობდნენ და პარლამენტის სხვადასხვა აპარატში მუშაობენ, სამსახურიდან გათავისუფლება ემუქრებათ.

მისივე თქმით, ყოველი ადამიანის უკან ოჯახი დგას და სამსახურიდან გათავისუფლება მათ შიმშილისთვის გაწირვას ნიშნავს.

დეპუტატმა აღნიშნა, რომ თუ მისი ვარაუდი გამართლდა და პოლიტიკური ნიშნით ადამიანები პარლამენტიდან მართლაც გაათავისუფლეს, მზად არის, მათ საკუთარი სამუშაო კაბინეტი „ტრიბუნად“ დაუთმოს.

დეპუტატ გია ცაგარეიშვილის ინფორმაციაზე პარლამენტში მოსალოდნელი რეორგანიზაციის შესახებ პარლამენტის აპარატის უფროსი დავით ჯანიაშვილი კომენტარს არ აკეთებს.

ჯანიაშვილი ამ საკითხზე ჟურნალისტებს არ გასაუბრებია, თუმცა მათ მდივნის პირით შეუთვალა, რომ „ჯერჯერობით გადაწყვეტილი არაფერია და კომენტარს სწორედ რაიმეს გადაწყვეტის შემთხვევაში გააკეთებს“.



## რა დასკვნას გამოიტანს ტალიავინის კომისია?

**რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინი ჟენევაში 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემსწავლელი ევროკავშირის საერთაშორისო დამოუკიდებელი საგამოძიებო კომიტეტის ხელმძღვანელს ჰაიდი ტალიავინს შეხვდა.**

საუბარი შეეხო 2008 წლის აგვისტოს ტრაგიკულ მოვლენებს და საერთაშორისო კომისიის მიერ ამ მოვლენებისადმი მიძღვნილ დასკვნას. რუსული მხრიდან გამოითქვა იმედი იმისა, რომ საერთაშორისო დამოუკიდებელი კომისიის მიერ გაკეთებული დასკვნა მაქსიმალურად ობიექტური იქნება, რა თქმა უნდა ყველა იმ დოკუმენტის გათვალისწინებით, რომლებიც ექსპერტებმა კომისიას ადრევე გადასცეს, — ნათქვამია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

სერგეი ლავროვის უწყება ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „როგორც ცნობილია რუსულმა მხარემ ამ კომისიის მუშაობის საქმეში ყველაზე აქტიური მონაწილეობა მიიღო“.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ასევე აცხადებს, რომ გრიგორი კარასინთან შეხვედრისას ტალიავინმა განაცხადა, რომ „კომისიას სურს საბოლოო ანგარიში ფაქტებისა და ექსპერტების ანალიზის საფუძველზე მაქსიმალურად ობიექტურად იყოს შედგენილი“.

**ინტერპრესნიუსი, ჯი-ეიჩ-ენი**

**ვარაუდი**

**6-8 ივლისს მოსკოვში დაგეგმილ ობამა-მედვედევის შეხვედრის სავარაუდო შედეგებზე „ინტერპრესნიუსი“ ფილოსოფოს ზაზა ფირალიშვილს ესაუბრა.**



## „ობამამ უნდა გაიგოს, რომ თუ საქართველოს რუსეთს დაუთმობს, კრემლი მხოლოდ ამით არ დაკმაყოფილდება“

**— ბატონო ზაზა, მოგეხსენებათ, ობამასა და მედვედევის შეხვედრისადმი მოლოდინი დიდია. თქვენი აზრით, რამდენად იმუშავებს ობამასეული თეზისი ურთიერთობათა „გადატვირთვის“ შესახებ და რა შედეგებს უნდა ველოდოთ აშშ-სა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრისგან?**

— შეგახსენებთ, რომ პუტინმა მალევე საჯაროდ უარყო რუსულ პოლიტიკაში რამე „გადატვირთვის“ საჭიროება, ხოლო მედვედევმა განაცხადა, რომ რუსეთს უკვე დაწყებული აქვს ეს პროცესი. გამორიცხული არ არის, მედვედევი ცინიკურად სწორედ აგვისტოს ომს გულისხმობდა. თუ ასეა და არ ვცდები, მოლაპარაკებები რთული იქნება. ვინც თვალს ადევნებს, იცის, რომ რუსული რევანშიზმისთვის შარშანდელი ომი იმპერიის მუხლებიდან წამოდგომის სიმბოლოდ იქცა და ძალიან ბევრი მოითხოვს საქმის ბოლომდე მიყვანას.

განსხვავება რუსულ და დასავლურ სამყაროებს შორის ის არის, რომ რუსეთისთვის გლობალურ სამყაროში იმპერიის ექსტენსიური განვითარება ტერიტორიებისა თუ გავლენის სფეროების გაზრდის ხარჯზე ჯერ კიდევ არ არის ნონსენსი. ეს ორი სამყარო, თითქოს ორ დაშორებულ ისტორიულ ხანაში ცხოვრობს. აქედან მოდის პოლიტიკურ ლინგვისტიკებს შორის განსხვავებაც — რაც დასავლეთისთვის საბჭოთა სამყაროს დანგრევის შემდეგ მსოფლიოს მეექვსედის გათავისუფლება იყო, რუსული მოსახლეობის ძალზე მნიშვნელოვანმა ნაწილმა ისტორიულ კრახად აღიქვა და რევანშიზმმაც მყისიერად იჩინა თავი, როგორც კი არენაზე შესაბამისი პოლიტიკური ფიგურები გამოჩნდნენ.

დასავლური იდეოლოგია დღეს ისტორიის დასასრულის რწმენით არის გაჟღენთილი: ბატონობს რწმენა, რომ ლიბერალური პარადიგმა ყოველგვარ წინააღმდეგობას შთანთქავს. სწორედ ამ ვითარებაში ეუფლება რუსეთი პოლიტიკურ ინიციატივას და დასავლეთს იმპერიულ პირობებს კარნახობს. მან მეთოდურად განდევნა გაერო და ეუთო ჩვენი კონფლიქტის ზონებიდან და ამერიკის პრეზიდენტთან შეხვედრის წინ გამომწვევად მართავს სამხედრო წვრთნებს. ვერ ვიტყვი, რომ ჩვენთვის ეს კარგი კონტექსტია.

**— თქვენი ნათქვამის გათვალისწინებით, ხომ არ არის მოსალოდნელი, რომ საერთაშორისო პრობლემებით შეწუხებული ობამა დათმობებზე წავა და გეოპოლიტიკური რღვევის ზღვარი, კოსოვოს მსგავსად, საქართველოზეც გაივლის?**

— ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, რამდენად ადეკვატურად აღიქვამს ობამა იმას, რაც დღეს რუსულ პოლიტიკასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ხდება. მთავარია, მან კარგად გაიაზროს ყველასთვის დრამატული ერთი ვითარება: რუსეთში არ დაბადებულა ტოტალიტარული წარსულის, ადამიანთა და ხალხთა წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა გამო სინანული. უფრო მეტიც, რუსული სახელმწიფო გარდუვალი რღვევისგან სწორედ წარსულის ფორმების გამეორებამ იხსნა, ჩეჩნეთის ომისა თუ საქართველოში ინტერვენციის სახით. თუ დასავლეთი თვალს დახუჭავს ყველაფერზე, მაშინ ვერც იმას შეამჩნევს, რომ რუსეთისთვის გავლენის სფეროების დაბრუნება კატობრიობის ისტორიის ახალ ფაზაში გადასვლის ნიშანი იქნება.

**— ხომ არ ეხმიანება თქვენი ნათქვამი ხშირად გამოთქმულ ვარაუდს რუსეთთან ახალი ომის შესახებ. რამდენად რეალურია რუსეთისაგან ომის საფრთხე?**

— მიჭირს თქმა, შეიძლება თუ არა, ომი დაიწყოს, თუმცა კი, მაფიქრებს შემდეგი რამ: „ომი რუსეთთან“ იქცა იმ მეტაფორად, რომლითაც დღეს ვცხოვრობთ. ეს გაცილებით უარესია, ვიდრე, უბრალოდ, განწყობა. რუსეთი, თითქოს საგანგებოდ გვაჩვევს ომის შესახებ აზრს — ჩვენც და დასავლეთსაც. ვგულისხმობ არა ბრძოლისთვის მზაობას, არამედ მოლოდინს, რომ რაღაც შეიძლება მოხდეს. ეს ძალიან ცუდია, მით უმეტეს, თუ მას ახლავს გამოცდილება, რომ საგარეო პოლიტიკური ძალები, რომლებიც მხარში უნდა ამოგვდგომოდნენ, რეალურად, არაფრის გამკეთებლები აღმოჩნდნენ და მათი დიდი ნაწილისთვის პოლონეთსა და ირლანდიაში ჰომოსექსუალური ქორწინებების დაკანონება უფრო აქტუალურა, ვიდრე — აღმავალი რუსული იმპერიალიზმი. აღარაფერს ვამბობ იმაზე, „გაზპრომში“, თუ სხვაგან წილების მიცემით როგორ გარყვნა რუსეთმა ევროპის პოლიტიკური ელიტის მნიშვნელოვანი და გავლენიანი ნაწილი. ამ პროცესის მეტასტაზები შეერთებულ შტატებსაც გადასწვდა.

სამწუხაროდ, რუსეთის მმართველი ფენა ლიბერალიზმს სისუსტედ აღიქვამს, ხოლო ადამიანის უფლებათა დაცვას — უხერხემლობად. ისეთი გრძნობა მაქვს, რომ რუსეთი ენის მოჩლექით ელაპარაკება დასავლეთს და ხელსაყრელ მომენტს ელოდება. კონკრეტულად, დღეს დასავლეთს „უსაფრთხოების ახალი არქიტექტურის“ სახელით ნატოს დაშლას და რუსეთის დომინირებით ახალი გაერთიანების ჩამოყალიბებას სთავაზობენ.

აშშ დღეს ერთადერთი საერთაშორისო ფაქტორია, რომელსაც ძალუძს რუსეთის შეჩერება. ამ ქვეყანას საკმაოდ აქვს ჯანსაღი საწყისები და „ისტორიის დასასრულიც“ არ არის მისთვის სრულიად ცხადი რამ. მთავარია, ობამა არ მიეცეს ილუზიას, რომ დათმობებისა და დიალოგების გზით იოლად შეიძლება რუსეთის დემოკრატიულ ქვეყნად გადაქცევა. იმედი მაქვს, მას ესმის, რომ თუნდაც ერთი, თითქოს უმნიშვნელო დათმობით შეუქცევადი პროცესები შეიძლება აღძრას. დღეს რუსული საგარეო პოლიტიკის ლოგიკა იმ კრიმინალის ლოგიკაა, რომელთან დიალოგიც შეუძლებელია და თავის პარტნიორს არც ერთ შეცდომას, არც ერთ სისუსტეს არ აპატიებს, თუნდაც მეგობრობას ეფიცებოდეს. ეს არის ციმბირის პატიმართა ბანაკების ფსიქოლოგიაზე აგებული პოლიტიკური მორალი.

2003 წლიდან ჩვენი ოფიციალური პოლიტიკური მეტყველება მთლიანად ინფანტილური ანტირუსული რიტორიკით გაიჟღინთა. იგივე მოხდა გასული საუკუნის 80-იანი და 90-იანი წლების მიჯნაზე, თითქოს გათავისუფლება და დასავლეთთან ინტეგრაცია ამგვარ რიტორიკაში გაჯიბრების გარეშე შეუძლებელი იყო. ორივე შემთხვევაში ჩვენ დაგვარტყეს და ორივე შემთხვევაში იმან, ვინც გვერდში უნდა ამოგვდგომოდა, გაიღიმა, თვალი აგვარიდა და რუსეთთან განაგრძო საქმიანი საუბარი.

ბოლო ხანებში ხშირად ვიხსენებ ბისმარკის ცნობილ სიტყვებს: არასოდეს არაფერი არ ჩაიფიქროთ რუსეთის წინააღმდეგ, რადგან თქვენს ყველაზე გონივრულ გათვლებს იგი თავის უსასრულო სიბრიყვეს დაუპირისპირებსო. რუსეთი იყო და რჩება ტლანქ, ირაციონალურ ძალად, რომლისგანაც ყველაფერს უნდა ელოდე, პირველ რიგში კი — ომის დაწყებას. ეს სახელმწიფოებრიობა უკვე რამდენიმე საუკუნეა, თავის იდენტობას ომში და ომის მეშვეობით პოვებს. პუტინის ფენომენი ჩეჩნეთის ომმა შექმნა, მედვედევის ფენომენს საქართველოსთან დაპირისპირება ქმნის. რუსულ პრესას თუ გადახედავთ, იოლად დაინახავთ, რომ მედვედევისგან მისი გარემოცვა საქართველოს პრობლემის საბოლოო გადაჭრას მოითხოვს. მედვედევმა უნდა იგრძნოს ობამას პიროვნული ძალა და ყველაზე რთული სიტუაციებისთვის მზაობა. იგი დღეს ამერიკის პრეზიდენტის სისუსტის ნიშანთა ძიებაშია. შარშან აგვისტოში მედვედევმა რუსეთში იმპერიული ენთუზიაზმის გაღვიძება მოახერხა და ამგვარ ენთუზიაზმს დიდი ინერცია აქვს. ობამამ უნდა გაიგოს, რომ თუ რუსეთს საქართველოს დაუთმობს, კრემლი მხოლოდ საქართველოთი არ დაკმაყოფილდება. ბედად, აშშ-ში არიან ფხიზლად მოაზროვნე პოლიტიკოსებიც. დრო გამოაჩენს, რამდენად დიდია მათი გავლენა.

**კობა ბენდელიანი**

**გამოძიება**

## რუსები ცხინვალში მშვიდობიანი მოსახლეობის გენოციდში გვადანაშაულებენ

**რუსეთის გენერალურ პროკურატურასთან არსებულმა საგამოძიებო კომიტეტმა მოიძია მასალა, რომლის მიხედვითაც საქართველოს შეიარაღებული ძალების უმაღლესი სარდლობის ბრალეულობა დასტურდება საქართველოს მიერ სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ განხორციელებულ აგრესიაში. ეს განცხადება მოსკოვში რუსეთის გენერალურ პროკურატურასთან არსებული საგამოძიებო კომიტეტის ხელმძღვანელმა ალექსანდრე ბასტრიკინმა გააკეთა.**

ჩვენს მიერ დოკუმენტურად დადასტურებულია სამხედროების, სამხედრო მეთაურების და ქართული არმიის სარდლების (სხვათა შორის ბრიგადის გენერლების დონეზეც) ბრალეულობა სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ განხორციელებულ აგრესიაში, — აცხადებს ბასტრიკინი და დასძენს, რომ ჩვენ ჯერ არ გვაქვს ქართული არმიის უმაღლესი მთავარსარდლის (პრეზიდენტის) პირდაპირი ბრძანებულებები და გამოძიების მსვლელობისას, რა თქმა უნდა სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობით ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ეს ბრძანებები მოვიპოვოთ, — აცხადებს საგამოძიებო კომიტეტის თავმჯდომარე.

ბასტრიკინი აცხადებს, რომ გამოძიების მიერ შეკრებილი მასალებით პრაქტიკულად დადასტურებულია საქართველოს მიერ სამხრეთ ოსეთის მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ განხორციელებული მკვლელობები და გენოციდი.

**ჯი-ეიჩ-ენი**



## არჩევანის წინაშე

# „სერენადა" თუ „ოპერაცია „ვალკირია"

**ერთი წუთითაც არ იფიქრო, ძვირფასო მკითხველო, რომ საქართველოს შიდა პოლიტიკური აქტივობის დაცემის გამო ფილმების განხილვაზე გადავერთე და, ასე ვთქვათ, „პროფილი" შევიცვალე.**

ძალიან გთხოვ, ასე არ იფიქრო, გულშიც არ გაივლო, თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ სიტყვა „პროფილი" ისე „გააბანძა" ამ მაია ასათიანმა, რომ სურათის გადაღებაც აღარ მინდა მაგ მდგომარეობაში (სიტყვა „პოზას" სპეციალურად არ ვხმარობძ.

მოდით, ამ სისულელეებს (ანუ ინგა გრიგოლიას გადაცემიდან დაწყებული, „კურიერით" გაგრძელებული და „კლაბ-შოუთი" დამთავრებულიძ თავი დავანებოთ და საქმეს მივხედოთ (ვინც ამ გადაცემებში 7 განსხვავებას მიპოვნის, 10-კაციან სახინკლეს ვუკისრებძ.

თუ კარგად დავაკვირდებით, ადვილად შევამჩნევთ, რომ საქართველოს პოლიტიკური სიტუაცია საკმაოდ ახლოს დგას მიხეილ ზოშჩენკოს ნოველის მიხედვით გადაღებული ქართული მოკლემეტრაჟიანი ფილმის „სერენადას" სიუჟეტს.

დღევანდელი ხელისუფლება და ოპოზიცია დაახლოებით ისე იბრძვიან საქართველოს სახელმწიფოს მართვის სადავეების ხელში ჩასაგდებად, როგორც ზემოთ ნახსენები ფილმის გმირები – „ავთანდილოვიჩი" და „მუშა" ლამაზი მანდილოსნის გულის მოსანადირებლად.

ამ დროს კი საქართველოს მოსახლეობა „მუშის საცემად" წასული „ავთანდილოვიჩის მოსვლამდე", ზის, სიგარეტს ეწევა და „ცხოვრება მშვენიერიას" უყურებს (მეტი არაა, ჩემი მტერი, მაგ გადაცემას მონაწილეთა ახლო ნათესავების მეტი ვინმე უყურებდეს, მაგრამ მაინცძ.

„ნიკალაევიჩი" კი, უჰ, შემეშალა, „ავთანდილოვიჩი", „ჩვეულ სტილში" აგრძელებს „მუშის", ანუ ოპოზიციის „გაბერტყვას", „დამკვრელურად მებრძოლი აქტივისტების" დაჭერას და საკნების კომპაქტურად განთავსების ადგილებზე „მგზავრებზე ზრუნვაში დატანჯული", ე.წ. „ტაქსის მძღოლების" შეტევების განხორციელებას (მაპატიეთ, მაგრამ თუ ვინმე ისეთ „ბლატნოი" ტაქსის მძღოლს მაჩვენებს, როგორებიც „რუსთავი 2"-ის კამერების წინ „იჩითებიან", მზად ვარ ზემოთ ნახსენებ სახინკლეზე დადებულ სანაძლეოს კიდევ 10 კაცი დავამატოძ.

რაღა დაგიმალოთ და ის ადგილი, სადაც „ტაქსისტების ბატალიონმა შეუტია", რამდენიმე დღეში საკნებისაგან თავისით „გაიწმინდა" (აშკარად წარმატებით მოქმედებს „წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამაძ.

ზოგიერთ „უკანასკნელ რომანტიკოსს" (გოტფრიდ ლენცის ფრაზა, რემარკის „სამი მეგობრიდან"ძ შეიძლება გაუკვირდეს, თუ რამ უნდა იმოქმედოს იმ ხალხზე, ვინც მზად არის, მთელი სულითა და გულით მოახდინოს ღირსეული ცვლილებები. შეცვალოს ეს დაჭაობებული, გაუბედურებული ყოფა და ადამიანებს მისცეს ნორმალური ცხოვრების, ანუ შრომისა და საკუთარი შრომის ნაყოფის გამოყენების საშუალება.

სამწუხაროდ, ჩემი, გოტფრიდ ლენცის და დანარჩენი რომანტიკოსების დრო კარგა ხნის წინათ წავიდა.

აბა, ერთის წუთით წარმოიდგინეთ, რომ „ავთანდილოვიჩის ზეწოლისგან" თავმობეზრებულმა „მუშამ" უკან დაიხია.

რა მოხდება მაშინ?

საქართველოს მოსახლეობა, დუტას ზლაპრებისა თუ მორიგი იდიოტობის მოლოდინში, ისევ ისე წამოწვება დივანზე და „ნიკალაევიჩის რომიდან ჩამოსვლამდე" ერთ-ორ ღერ სიგარეტს მოსწევს. ეკა ხერხეულიძე ბათუმში წავა, ვანო ხუხუნაიშვილი კი ალბათ რუსთაველზე, „შხარასთან" რომ ახალი რესტორანი გაიხსნა, იქ შეივლის.

არადა, ამ დროს, რაც არ უნდა „იჩალიჩოს" ხათუნა გოგორიშვილმა თვითმფრინავის ბილეთების გაყალბებაზე, მაინც ვერაფერს ვერ მოახერხებს, რადგანაც მიშას ნინო კალანდაძე და ჟურნალისტები ურჩევნია ხერხეულიძესა და ხუხუნაიშვილს.

ისე მიშა აბსოლუტურად მართალია.

რუსთავი 2-ის ყურებას ისევ რომში წასვლა სჯობს.

არც ბერლინია ურიგო ქალაქი და...

ამ დროს მხატვრული ფილმი „ოპერაცია „ვალკირია" გამახსენდა.

პოლკოვნიკი შტაუფენბერგი.

მებრძოლი, პატრიოტი, თავისი ერის ნამდვილი მსახური.

არც რუსეთის, არც ინგლისის და, მით უმეტეს, არც ამერიკის აგენტი.

კაცი, რომელიც სამშობლოს გადასარჩენად (თქვენ წარმოიდგინეთ, **თავისი სამშობლოს** და არა რაღაც უაზრო, აბსურდული და ნებისმიერი ცივილიზაციის დამანგრეველი ე.წ. **დემოკრატიული ფასეულობების** გადასარჩენადძ, დაუპირისპირდა უძლიერეს იდეოლოგიურ და სამხედრო მანქანას.

პოლკოვნიკი შტაუფენბერგი დახვრიტეს.

მან მაინც გაიმარჯვა.

შემშურდა.

შემშურდა იმის, რომ დღევანდელი საქართველოს ხელისუფლებაში არ არის ადამიანი, რომელიც თავის ხელისუფლებაში ყოფნის უაზრობას რომ მიხვდება, არც მიტინგზე გამოვა, არც ახალ პოლიტიკურ მოძრაობას შექმნის და არც აქეთ-იქეთ სირბილს არ დაიწყებს.

არ არის ადამიანი, რომელიც უბრალოდ გამოვა და ხმამაღლა იტყვის: მე საქართველო მიყვარს, მე ვიცი, რომ არაფრის მაქნისი არ ვარ და ამიტომ სახლში მივდივარ.

(ამ შემთხვევაში, ის კაცი არ მყავს მხედველობაშიძ.

სამწუხაროდ ასეთი ხალხი არა მარტო ხელისუფლებაში, ოპოზიციაშიც არ არის.

აქ რომ დავწერო, „სერენადაშიც" და „ოპერაცია ვალკირიაშიც" იმან გაიმარჯვა, ვის მხარესაც სიმართლე იყოო, მართალი არ ვიქნები, რადგანაც არავინ იცის, თუ რა არის ნამდვილი სიმართლე, მაგრამ საბოლოოდ გამარჯვება რომ ხალხის (ანუ, მაყურებელთა უმრავლესობისძ „რჩეულთ" დარჩათ, ეს კი უდავოა.

არადა მე სულ სხვა კითხვა მაწუხებს:

რომელი გზაა უფრო ჭეშმარიტი: „მუშის", თუ პოლკოვნიკი შტაუფენბერგის?

ამაზე პასუხს ალბათ ისტორია გაგვცემს.

**გია გაბრიჭიძე**

## თვალსაზრისი

# „კავკასიაში აშშ-ის პოლიტიკის გეოგრაფია ფართოვდება"






### საგენტო „პირველის" ინტერვიუ „თავისუფალი აზრის სახლის" ხელმძღვანელთან, ექსპერტ მამუკა არეშიძესთან

**– ბატონო მამუკა, რას შეიძლება, ველოდოთ ობამა-მედვედევის შეხვედრისგან?**

– ძალიან ძნელი სათქმელია. ჩემთვის ერთი რამ არის ცნობილი: ორ თვეზე მეტია, მოსკოვის ერთ-ერთ დასასვენებელ სახლში აშშ-ისა და რუსეთის პრეზიდენტების მრჩევლებს შორის დახურული შეხვედრები და კონსულტაციები მიმდინარეობს. ვიცი, რომ ძალიან ბევრ საკითხზეა საუბარი, მათ შორის – ავღანეთის, პაკისტანის, ირანისა და კავკასიის თემებზე. ასევე აღსანიშნავია გორდონის და ბაიდენის საქართველოში დაგეგმილი ვიზიტები. ლოგიკას თუ მივყვებით, ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესები საქართველოსა და ზოგადად კავკასიის მიმართ არ შეცვლილა, თუმცა, როგორც ჩანს, ამერიკის ადმინისტრაციის პოლიტიკამ რეგიონის მიმართ გარკვეული კორექტივები მაინც განიცადა. ამის მთავარი დამადასტურებელი ფაქტი ისაა, რომ მაისში ერევანში ძალიან სერიოზული დელეგაცია იმყოფებოდა. ამ დელეგაციის რაოდენობა და წარმომადგენლობა იმაზე მიგვითითებს, რომ სომხეთის მთავრობასთან და საზოგადოებასთან სერიოზულად მუშაობენ. ჩემთვის ცნობილია ასევე, რომ აღნიშნული დელეგაციის ვიზიტის დროს საუბარი ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხებს და სომხეთისთვის მათი ატომური სადგურის დაბრუნების თემას შეეხო. მოგეხსენებათ, აღნიშნული სადგური რუსებს ვალში აქვთ გადაცემული. ეს ყველაფერი იმას მოწმობს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრაქტიკამ, რომელიც დიდწილად აზერბაიჯან-საქართველოს საკითხებზე მუშაობდა, კორექტირება განიცადა და აშშ სომხეთთანაც იწყებს სერიოზულ მუშაობას. საერთო ჯამში ის, რაც ხდება, გარკვეულწილად მიანიშნებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესები რეგიონის მიმართ შენელებული არ არის – პირიქით, გეოგრაფია გაიზარდა. ბუნებრივია, ეს ყველაფერი რუსულმა მხარემაც იცის და ისინი ობამა-მედვედევის შეხვედრის დროს იქნება განხილული. დღის წესრიგში, როგორც მე ვიცი, სულ რამდენიმე საკითხია შეტანილი, მათ შორის – ნატოს ტვირთების თემა, ირანთან ურთიერთობა და პაკისტანის საკითხი. რაც შეეხება დანარჩენს – კავკასიის თემას და სხვა საკითხებს, ისინი ჯერჯერობით შეთანხმების პროცესშია. ამიტომ რთული სათქმელია, როგორ განვითარდება მოვლენები. ბუნებრივია, ორივე პრეზიდენტი ილაპარაკებს იმ შეთანხმებზე და დოკუმენტებზე, რომელსაც მიაღწიეს მათმა მრჩევლებმა.

**– რუსი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ობამა-მედვედევის შეხვედრაზე მოსკოვი კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების სანაცვლოდ აშშ-სგან აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას მოითხოვს... რამდენად შესაძლებელია, თქვენი აზრით, აშშ ამაზე წავიდეს?**

– ამ შეხვედრაზე ძალიან ძნელი იქნება ამაზე საუბარი, იმიტომ, რომ ამერიკის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები განსაზღვრულია, მაგრამ როგორც უკვე აღვნიშნე, ისინი გარკვეულ კორექტირებას განიცდის. ამერიკის შეერთებული შტატებისთვის კოსოვოს თემა, რასაკვირველია, მნიშვნელოვანია, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია კავკასიის საკითხები, – იმიტომ კი არა, რომ ვიღაც გიჟდება სომხებზე, აზერბაიჯანელებზე ან ქართველებზე... აქ საუბარია კორიდორზე, რომლის დაკარგვა ამერიკის მხარეს არ სურს. აქედან გამომდინარე, არა მგონია, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღიარება კოსოვოში გაიცვალოს. მეორე საკითხია რაკეტსაწინააღმდეგო რადარების განთავსება, მაგრამ დღეს ესეც არ არის იმდენად აქტუალური, რადგან ამ სისტემების განლაგებაზე აზრი თვითონ ვაშინგტონშია ორად გაყოფილი. არის პოლიტიკოსებისა და ექსპერტების ნაწილი, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ჰაერსაწინააღმდეგო რადარების განლაგებით რუსეთთან ურთიერთობების გაფუჭება არ ღირს, რადგან რუსეთთან მიმართებაში სხვა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე აღნიშნული რადარები. უნდა აღინიშნოს ასევე, რომ მდგომარეობა შეიცვალა წინა აზიაში. გარკვეულწილად ეს იგრძნობა ირანული პოლიტიკის შერბილებით ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ, განსაკუთრებით კი – სირიის პოლიტიკით. წინა აზიაში და კავკასიაში ინტერესების სფეროების გადანაწილებისთვის ბრძოლა მიმდინარეობს და გამარჯვებული დარჩება ის, ვინც ეკონომიკურად უფრო მეტადაა წელში გამართული. დღევანდელი მდგომარეობით, რუსეთის ეკონომიკური მდგომარეობა არაპერსპექტიულია. რუსი ეკონომისტების აზრით, 2010 წელი რუსული ეკონომიკის კრახის წელი იქნება.

**– რუსეთის მხრიდან მორიგ აგრესიაზე რუსი და უცხოელი ექსპერტები კვლავ აქტიურად საუბრობენ. რამდენად რეალურია რუსეთის მხრიდან მორიგი აგრესია საქართველოს წინააღმდეგ?**

– დიახ, ექსპერტები ამაზე საუბრობენ, მაგრამ ამის შესაძლებლობა 50/50-ზეა. გარკვეულწილად მართლაც არის ლოგიკა იმ პარალელებში, რომლებიც მიმდინარე სამხედრო წვრთნებს „კავკას 2009"-სა და შარშან, ომამდე ჩატარებულ სამხედრო წვრთნებს შორის ივლება, თუმცა, მეორე მხრივ, თუ შარშან რუსეთს ჰქონდა გარკვეული მიზეზი იმისათვის, რომ ომი დაეწყო (რუსეთს ჰქონდა გარკვეული გამართლებები საერთაშორისო საზოგადოების წინაშე, მათ შორის – საქართველოს ხელისუფლების აბსოლუტურად გაუაზრებელი პოლიტიკა, საომარი რიტორიკა და მცირე ერების ფსევდოდაცვა აგრესიისგანძ, დღეს რუსეთს მსგავსი მიზეზები აღარ გააჩნია. თუ გავითვალისწინებთ რუსეთის ეკონომიკის მდგომარეობას და მიზეზების უქონლობას, ამავე დროს ამერიკის შეერთებული შტატების წელში გამართვას (გახსოვთ ალბათ, ბოლო პერიოდში რიგ გამოწვევებზე ბუშის ადმინისტრაციას რეაგირების თავიც არ ჰქონდაძ, ამ ყველაფრიდან გამომდინარე, საომარი მოქმედებების განახლება არარეალურად მეჩვენება.

იხ. 4 გვ.

თვალსაზრისი

(მესამე გვერდიდან)

რაც შეეხება მიმდინარე სამხედრო წვრთნებს, მე, ისევე, როგორც სხვა ექსპერტებს, არ მაქვს სრული ინფორმაცია იმის შესახებ, რა ძალებია გამოყენებული „კავკასია 2009“-ში. ოფიციალურ დონეზე ვიცით, რომ ამ წვრთნებში 8500 სამხედრო მონაწილეობს, ხარისხის თვალსაზრისით კი, წინა წვრთნებთან შედარებით, „კავკაზ 2009“ უფრო მასშტაბურია და მასში ბევრად უფრო კარგად გაწრთვნილი, ელიტარული ნაწილები მონაწილეობს. თუმცა თუ კარგად დავაკვირდებით სიტუაციას და გავითვალისწინებთ, რომ წვრთნები კავკასიის პერიმეტრზე ტარდება, ეს იმას ნიშნავს, რომ მიმაჩნია. შეიძლება, გასაგები იყოს საქართველოს ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯი და მამისონის უღელტეხილზე რამდენიმე მეტრით უკან დახევა იმისათვის, რომ კონფლიქტი თავიდან აეცილებინა. ეს ცუდია, მაგრამ გასაგები, ამიტომ ხელისუფლებამ სიმართლე უნდა უთხრას ხალხს.

**— საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის სომხეთში ვიზიტის დასრულების შემდეგ ცნობილი გახდა, რომ მხარეები სომხეთსა და ბათუმს შორის ახალი გზის მშენებლობაზე შეთანხმდნენ. როგორც ცნობილია, აღნიშნული გზა ნინოწმინდასა და ჯავახეთზე გაივლის. როგორ ფიქრობთ, რამდენად უსაფრთხო იქნება საქართველოსთვის ამ გზის გაყვანა და რამდენად მიზანშეწონილია ამ პროექტის განხორციელება?**

— ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი კითხვა, რომელზეც პასუხის გაცემა ძალიან ძნელია. საჭიროა თუ არა საქართველოსთვის აღნიშნული გზა? ვთვლი, რომ ეს გზა საქართველოს არაფერში სჭირდება. თუ ეს კეთდება იმისათვის, რომ სომხეთის მიმართ კეთილი ჟესტი გაკეთდეს, მაშინ საზოგადოებამ უნდა გაიგოს, რას გვაძლევს ეს გზა, რისთვის გვჭირდება? თუ სომხეთი საკუთარ თავზე იღებს ვალდებულებას, საქართველოს ხელისუფლებას რუსეთთან ურთიერთობა დაულაგოს, მაშინ ჩვენ ეს გზა არ გვჭირდება და ამით საქართველო ვერაფერს იგებს. თუ სხვა რაიმე ჩანაფიქრთან გვაქვს საქმე, მაშინ ხელისუფლებამ უნდა აგვიხსნას, კერძოდ, რა სურს, მიიღოს. საქართველოს ამ მიმართულებით აუცილებლად სჭირდება ალტერნატიული გზა. არ არის აუცილებელი, მარტო ერთი გზა გააკეთდეს, შეიძლება, აშენდეს გზების ქსელი. რატომ უნდა გაიყვანონ მაინცდამაინც ის გზა, რომელიც ჯავახეთს აჭარასთან დააკავშირებს — ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია. ჩვენ სრული უფლება გვაქვს, ვიცოდეთ, რატომ ზრუნავს საქართველოს ხელისუფლება სომხეთის საუკუნეობრივი ოცნების ახდენაზე და რას ვიღებთ სანაცვლოდ.

# „კავკასიაში აშშ-ის პოლიტიკის გეოგრაფია ფართოვდება“



8500 სამხედრო კავკასიის პერიმეტრზეა გაფანტული და ასე ვთქვათ, სამხედრო მუშტთან საქმე არ გვაქვს. ამიტომ ნაკლებად სავარაუდოდ მეჩვენება სამხედრო აგრესიის განახლება იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ხელისუფლება მორიგ სამხედრო ავანტიურაზე არ წავა, — ამის ნიშნები კი ჯერჯერობით არ ჩანს.

**— იმის ერთ-ერთ განმაპირობებელ ფაქტორად, რომ ომი არ განახლდება, თქვენ რუსეთში არსებულ ეკონომიკურ კრიზისს ასახელებთ, თუმცა ზოგიერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ რუსეთმა საქართველოს შესაძლოა, ამჯერად სწორედ საკუთარი პრობლემების, კერძოდ, ფინანსური კრიზისით გამოწვეული სოციალური დაძაბულობის გადასაფარად დაარტყას...**

— მოდით, ლოგიკურად მივუდგეთ ამ საკითხს. ვთქვათ, რუსეთმა დაიწყო სამხედრო აგრესია საქართველოს წინააღმდეგ, რუსეთის არმიას საქართველოს ჯარი, ბუნებრივია, ვერც ამჯერად გაუძლებს, განსაკუთრებით — ავიაციას, ამიტომ კონფლიქტი სავარაუდოდ, ისევ 5 დღეში დასრულდება, ამ 5 დღის მერე რას უშველება ეკონომიკურ კრიზისს რუსეთი?! მინდა, გითხრათ, რომ განსაკუთრებით აღმოსავლეთ რუსეთში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს კავკასიაში ვერანაირი ომი ვერ გადაფარავს. ცხადია, არავინ დაიჯერებს, რომ პატარა საქართველო დიდ რუსეთს თავს დაესხა! ეს ხომ არ არის ომი ნატოსთან ან ამერიკის შეერთებულ შტატებთან?! ამიტომ, ვფიქრობ, რომ ეს უფრო იარაღის დემონსტრირება და ჟღარუნია, ვიდრე რეალური საომარი მოქმედების დაწყების საფრთხე, მაგრამ ვიმეორებ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროვოკაცია არ მოხდება და საქართველო მას ისევ არ წამოეგება.

ამასთან დაკავშირებით მამისონის თემას შევეხები. საქართველოს ხელისუფლება ბოლომდე არ ამბობს სიმართლეს იმის შესახებ, თუ რა მოხდა მამისონზე, რაც მე აბსოლუტურად ამორალურად და უაზროდ

**ლევან ჭითანავა**

გულიდან ამონახეთქი

# ახლა ბაიდენი?.. მაგრად დავიბენი... მართლა ვაი ჩვენი!..

**ოპოზიცია ჩაფლავდა, რაც სულაც არ მიხარია, მაგრამ არც თავის მოტყუება მინდა. ეს ისედაც არ მაკლია. მესამე თვეა, რაც მორიგი საპროტესტო „მოქცევა“ დაიწყო და მერე რა? შედეგი? ეფექტი?**

— არავითარი, პრაქტიკულად ნულოვანი.

ვინ ამიხსნის, თუ რატომ, როგორ მოხდა, რომ მიხეილ სააკაშვილმა რამდენიმე ასეული მოლაშქრით შეძლო 2003 წლის ნოემბერში პარლამენტის შენობაში შეჭრა და ფაქტობრივად სახელმწიფო გადატრიალების მოხდენა; შეძლო ისე, რომ სულაც არა ვარდების თვეში ამ ძალადობრივ აქციას სრულიად შეუფერებლად „ვარდების რევოლუცია“ დარქმეოდა. წლეულს კი, 2009-ში, აპრილში, მაისში, ივნისში (მართლა სავარდო თვეებში!ძ რამდენჯერმე (თუნდაც 9 აპრილს, თუნდაც 9 მაისს, თუნდაც 26 მაისსძ ოპოზიციამ ათეულ ათასობით პროტესტანტს, მომიტინგეს მოუყარა თავი და ამოდენა ზღვა ხალხით ვერცრა მოახერხა და უბრალოდ, მგონი არც იცოდა, რა ექნა ასეთი მასებისათვის!..

რაო, სამთავრობო დაწესებულებები დავბლოკეთო? ხელისუფლება პარალიზებულიაო? იმიტომაც ვერ დაგრიალებენ ბლოკირებულნი და პარალიზებულნი აქეთ თუ იქით, საზღვარშიგნით თუ საზღვარგარეთ, გინდა სხდომებით, გინდა ბრიფინგებით, გინდა „ინდივიდუალურად“! იმიტომაც კიდევ მეტად ვერ ფლანგავენ ხაზინის, ხალხის ფულებს ამდენი მოგზაურობით!..

აბსოლუტურად არ გაამართლა საკნობანამაც. სოკოებივით მომრავლებულმა საკნებმა ხომ მართლაც ბევრი უხერხულობა შეუქმნა თბილისის მოსახლეობას, დედაქალაქის სტუმრებსაც, მით უფრო ახლა, როცა პარლამენტის შენობა „გაილო“ და საბრალო უდანაშაულო მოქალაქეებს, ხშირად ხანდაზმულებსა და დაავადებულებს, ფეხით უხდებათ ამ სიცხეში საკანონმდებლო ორგანომდე მისვლა; სარგებლობა კი ნეტავ რა მოიტანეს (საკნებზე მოგახსენებთძ?..

ახლა ოპოზიცია დიდ იმედებს



ამყარებს ივლისში აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის ბაიდენის ვიზიტზე თბილისში. „იმუქრება“, უამრავ ხალხს გამოვიყვანთო. კარგი, ვთქვათ შეყარეს მორიგ ჯერზე „ერთად მოყმე და მხცოვანი“, თუნდაც უამრავი — მერე? ბაიდენი რა, იმ ხალხს სათავეში ჩაუდგება, სააკაშვილისკენ გაუძღვება და ამერიკის სახელით მოსთხოვს, გადადექიო?..

სხვა დროსაც მითქვამს — არც პოლიტიკოსი ვარ, არც პოლიტოლოგი, არც კონფლიქტოლოგი, არც სამჭკუაშვილი. საზოგადოების რიგითი წევრი ვარ, რიგითი კალმოსანი ვარ და სწორედ ასეთი „სტატუსით“ ვსვამ ჩემს კითხვებს, რისი უფლებაც „აქედანაც“ მაქვს და ყოველთვის მექნება. ისა ვარ, ვისაც თავისდა სამწუხაროდ, აღარავისა და აღარაფრისა არა სჯერა და ვინც საშველს ვერ ხედავს ამ გაუბედურებულ ქვეყანაში, ამ უსაშველო ვითარებაში. ისა ვარ, ვინც დიდი ხანია მშვენივრად იცის, თუ რა საწამლავია, რა შხამია ძალაუფლება და არაერთი ოპოზიციონერი ლიდერის ღვწას სამშობლოს სიყვარულით, საქართველოს პატრიოტობით კი არ ხსნის, არამედ ძალაუფლებისკენ სწრაფვით.

ხელისუფალნი კი, ისინი, ამ დაქცეულ ქვეყანაში, ამგვარ საცოდავ სოციალურ ფონზე ფუფუნებით ცხოვრების ნებას რომ აძლევენ თავს, ამდენს რომ იხვეჭენ, ამდენს რომ ხაპავენ და ამდენს რომ გრიალებენ — დიდი ხანია, რაც მოწამლულნი არიან ძალაუფლებით. დიდი ძალაუფლების მქონენი — დიდად, ნაკლებისა — ნაკლებად. ყველაზე მოწამლული კი, რასაკვირველია, საქართველოს პრეზიდენტია და სამაგალითოდაც მოწამლული. ილებენ კიდევაც მისგან მაგალითს...

...მერამდენედ „ვაპლაგიატებ“ ჩემს საყვარელ პოეტებს მურმან ლებანიძეს, მუხრან მაჭავარიანს: „ოპოზიცია ჩაფლავდა, საწუხარია რაიც. ეგ მიტინგები აფრადა როდემდე უნდათ, მაინც“... „ბაიდენს ვთხოვოთ, გვიშველისო — სასაცილოა“...

ყოჩაღად, ჩვენო ოპოზიციის ლიდერებო! ბაიდენის მოსვლამდე არაფერი გეტკინოთ!..

**ლუკა გორგაძე**

როცა ხალხზე ვფიქრობთ

# ლეიბორისტები ტრადიციას არ ღალატობენ...

## გაზის ტარიფებზე ცვლილებებია

**ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 25 სექტემბრის №69 და 2008 წლის 24 ივლისის №73 ბრძანებებს თავის დროზე თბილისის მოსახლეობაში დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა, რადგან აღნიშნული ბრძანებებით გაზმომარაგების კომპანიებს ბუნებრივი აირის დელეგირების (ლიცენზიისა და ტარიფის დადგენის გარეშე საქმიანობის უფლების მინიჭება) უფლება მიეცათ, ე. ი. ბუნებრივი გაზის ფასი და შემდგომში ტარიფის ცვლილება გაზმომარაგების კომპანიების ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული.** აღნიშნული უფლება გამოიყენა შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ ადმინისტრაციამაც. მათ მოსახლეობა ორ კატეგორიად დაჰყვეს: აბონენტები 2008 წლის აგვისტომდე და აბონენტები 2008 წლის აგვისტოს შემდეგ. პირველი კატეგორია ბუნებრივი გაზის 1$^3$მ მოხმარებისთვის 50 თეთრს იხდის, ხოლო მეორე კატეგორია — 75 თეთრს.

როგორც აღმოჩნდა, ეს ტარიფები 2009 წლის თებერვლიდან ძალაში აღარ არის. ამის შესახებ ლეიბორისტულმა პარტიამ სპეციალურ ბრიფინგზე გამოაცხადა.

პარტიის იურიდიული სამსახურის უფროსმა მარიამ ცუცქირიძემ განაცხადა, რომ მიმდინარე წლის 16 თებერვალს მათ კონსტიტუციური სარჩელი აღძრეს ენერგეტიკის სამინისტროს წინააღმდეგ, რომელშიც ასაჩივრებდნენ ზემოთ აღნიშნულ ბრძანებებს. სასამართლოს ეს სარჩელი არ განუხილავს, რადგან ვერ მოასწრო. როგორც ლეიბორისტულ პარტიაში ამბობენ, როდესაც შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ ადმინისტრაციამ სარჩელის შესახებ შეიტყო, საკითხის განხილვამდე დააკმაყოფილა ლეიბორისიტების მოთხოვნა და რამდენიმე დღეში ახალი ადმინისტრაციული აქტი გამოსცა, რომლითაც აღნიშნული კომპანიის აბონენტები ბუნებრივი აირის გადასახადს ყველასთვის საერთო ტარიფით (50 თეთრიძ გადაიხდიან, ხოლო იმ აბონენტებს, ვინც იხდიდა 75 თეთრს უნდა მიაკითხონ „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ ოფისში, დაწერონ განცხადება და განცხადების რეგისტრაციის შემდეგ ისინიც გადაიხდიან 50 თეთრს, ზედმეტად გადახდილი თანხა გადაანგარიშების შედეგად წინსწრებით გადახდილად ჩაეთვლებათ.

**მარიამ ცუცქირიძე,** ლეიბორისტული პარტიის იურიდიული სამსახურის უფროსი:

— ჩვენ მოვიპოვეთ დიდი გამარჯვება. მართალია, არ არის გარანტია, რომ ტარიფებს ისევ არ გაზრდიან, მაგრამ ჩვენ არ დავიღლებით და ყოველგვარ უსამართლო ბრძანებას გავასაჩივრებთ. აღსანიშნავია ერთი ფაქტიც — „ყაზტრანსგაზმა“ ეს გადაწყვეტილება თებერვალში მიიღო და ოფიციალური განცხადება დღემდე არ გაუკეთებიათ. მე ვულოცავ ყველა აბონენტს ამ სასიხარულო ფაქტს.

**ანა წიწილაშვილი**

## დავიბრუნოთ აფხაზები!

**კარგია, რომ გვიან, მაგრამ მაინც გაჩნდა ლოზუნგი: „დავიბრუნოთ აფხაზები". აქ ყველაზე კარგად არის გამოკვეთილი ის სულისკვეთება, რომ ტერიტორიული აღდგენა სულაც არ გულისხმობს შენი სისხლისა და ხორცის, ღვიძლი ძმების გადაკიდებას, ისე როგორც ეს 90-იან წლებში მოხდა. ამ მიმართულებით ყველაზე კარგად სახალხო დიპლომატია მუშაობს.**

**მწერალი გურამ ოდიშარია მაისში აფხაზეთში იმყოფებოდა. ახლა მან ყველაზე კარგად იცის, რა უნდათ აფხაზებს, როგორ უჭირთ და ულხინთ. მწერალმა შემოიარა სოხუმი, გაგრა, ბიჭვინთა, ახალი ათონი, გაესაუბრა ადამიანებს, ნაცნობებს, უცნობებს. რას გრძნობს აფხაზი და როგორ წარმოუდგენია საკუთარი მომავალი, გურამ ოდიშარია ჩვენს მკითხველს ქვემოთ მოუყვება, მაგრამ სამწუხაროა, რომ ამის შესახებ მას არაფერი ჰკითხეს მთავრობის წარმომადგენლებმა — არც აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლებისა და არც საქართველოის. თუმცა ყველამ ძალიან კარგად იცის, რომ ადამიანური ურთიერთობების ნდობის აღდგენის გარეშე ვითარება არ გამოსწორდება.**



# გურამ ოდიშარია: აფხაზები და ქართველები თუ არ შევრიგდით, სოხუმში ჩემი სახლი გინდა ყოფილა, გინდა არა

**— ბატონო გურამ, სახალხო დიპლომატიის ეგიდით მერამდენედ იყავით აფხაზეთში?**

— თორმეტი-ცამეტი წელია ჩვენ ურთიერთობა გვაქვს აფხაზეთის არასამთავრობო ორგანიზაციებთან. ასევე ჩვეულებრივ სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ადამიანებთან შეხვედრები იმართება განათლების, კულტურის, მეცნიერებისა და სხვა პრობლემებზე.

**— აფხაზეთის არასამთავრობო ორგანიზაციებს რამდენად კარგი ურთიერთობა აქვთ ოფიციალურ ხელისუფლებასთან? როგორ ხედავენ თქვენს მიწვევას, პრობლემები არ ექმნებათ?**

— ხელისუფლებასთან რთული ურთიერთობა აქვთ, მაგრამ შეხვედრები იმართება წლის განმავლობაში რამდენჯერმე სხვადასხვა მიმართულებით: ხელოვნებაზე, ჟურნალისტიკაზე, პოლიტიკაზე... ზოგჯერ ეს უფრო ფართო ეგიდით, საერთო კავკასიური ფორმით ხდება.

მაისში პირადად მე ჩავედი, იქიდან მიმიპატიჟეს. ამ ჩასვლაში დიდი როლი ითამაშა იმან, რომ მაქვს „მშვიდობის ელჩის" სტატუსი, რომელიც შარშან სამხრეთ კორეაში მომანიჭეს.

**— მაშასადამე, სანდო პირი ბრძანდებით?**

— დიახ.

**— ტექნიკურად როგორ ხდება აფხაზეთში ჩასვლა. ჩვეულებრივ ენგურის ხიდის გავლით?**

— „მშვიდობის ელჩის" წოდება გაეროს ეგიდით მერგო, ამიტომ ჩავედი სწორედ გაეროს ეგიდით, უფრო სწორად, ჩავფრინდი. თბილისი-ბათუმის თვითმფრინავით, ხოლო შემდეგ ბათუმი-სოხუმი — ვერტმფრენით.

**— როგორ შეგხვდნენ?**

— მეგობრები დამხვდნენ. სასტუმროში დამაბინავეს. მეორე დღეს მამაჩემის საფლავზე გავედით, რომელიც მოვლილი დამხვდა და ძალიან გამიხარდა. გამიხარდა ისიც, რომ ძალიან ბევრს იქ ჩემი წიგნები წაკითხული ჰქონდა: „დევნილთა ულელტეხილი", „სოხუმში დაბრუნება", „ძმისშვილი", „პრეზიდენტის კატა". ამ წიგნებში ქართულ-აფხაზურ ურთიერთობაზეა სიუჟეტი აგებული და ძალიან პოპულარულია.

**— თქვენსავით ჩადიან სხვებიც, იქ დაბადებული და გაზრდილი ქართველები?**

— არიან ადამიანები, რომლებსაც ღებულობენ, მაგრამ არიან ისეთები, რომლებსაც არ ღებულობენ. იქ ახსოვთ ბევრი კარგი, მაგრამ ახსოვთ ცუდიც, იყო ეს ომამდე თუ ომის შემდეგ.

ძალიან აინტერესებთ ყველაფერი რაც ჩვენთან მედიაში იწერება, ტელევიზიით გადაიცემა... მაგრამ აგვისტოს ომის შემდეგ სიტუაცია კარდინალურად შეიცვალა.

**— ისინი არ ელოდნენ მოვლენათა ასეთ ცვლილებას?**

— ნამდვილად არ ელოდნენ. რუსეთის აღიარება მოულოდნელი იყო. შეიცვალა დამოკიდებულება, შიშიც გაჩნდა. ფიქრობენ და აწუხებთ, თუ როგორ დაიცვან თავი, რომ რუსებში მათი ასიმილაცია არ მოხდეს. ეს ძალიან აღარდებთ. კანონს კანონზე იღებენ, რომ რაღაცნაირად მოახერხონ იდენტურობის შენარჩუნება. მაგალითად, აფხაზური კანონით მიწა არ იყიდება, რაც შეეხება ნაგებობის გაყიდვას და ყიდვას, ის შეუძლია მხოლოდ იქაურ მოსახლეს.

**— ხელისუფლება რამდენად თავისუფალია, ან რამდენად ითვალისწინებს მსგავს მოთხოვნებს?**

— ხელისუფლებამ 49 წლით მისცა რუსის ჯარს იქ დარჩენის უფლება, რამაც ძალიან დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევენ ენას. მაგალითად არის მცდელობა, რომ სახელმწიფო ენად აფხაზურთან ერთად რუსულიც გამოაცხადონ, რასაც ეწინააღმდეგება აფხაზობა. მით უმეტეს, საქმის წარმოება რუსულად მიმდინარეობს და არიან ძალები, რომლებიც ცდილობენ მიიღონ კანონი და აფხაზურით შეცვალონ. ასევე, ვინც არ იცის კარგად აფხაზური, ის დიდ თანამდებობას ვერ დაიჭერს.

ვნებათაღელვა მძაფრდება, რაც უფრო ახლოვდება საპრეზიდენტო არჩევნები. პრეზიდენტობის მსურველი შეიძლება ბევრი აღმოჩნდეს. ბრძოლა გაიმართება პრორუს და პროაფხაზურ ძალებს შორის. პროაფხაზები ამბობენ, რომ ისინი არიან აფხაზები, მათ აქვთ დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფო და არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოექცნენ რუსეთის გავლენის ქვეშ.

მაგრამ ამავე დროს არის განცდა სტაბილურობისა. ამბობენ, რომ ახლა უფრო მშვიდად სძინავთ, რადგან არ ესმით მუქარა ქართველების მხრიდან, რომ დღეს თუ არა ხვალ, ძალით შეიჭრებოდნენ აფხაზეთში.

**— ხომ არ ფიქრობს ვინმე, რომ სჯობდა ქართველებთან სამუდამოდ დარჩენა, ვიდრე რუსეთთან ასიმილაცია?**

— არიან ასეთებიც. სხვადასხვანაირი განწყობაა. ჭრელია აფხაზეთი. იქიდან ორჭოფულად უყურებენ ჩვენთან რაც ხდება. არ იციან, ვინ მოვა, როგორ შეიცვლება სიტუაცია, ჩვენთვისაც კი ბევრი რამე გაურკვეველია, არათუ მათთვის. წინააღმდეგობებია, კაციშვილმა არ იცის, აქედან ვინ დაელაპარაკება, ან ისინი იქიდან ვის შეიძლება დაელაპარაკონ...

**— თქვენ როგორ დაგელაპარაკნენ?**

— ჩვენ მონატრებული მეგობრები, დავსხედით, დიდხანს ვილაპარაკეთ. ასე მითხრეს, ქართველებთან ერთად ნაღდი ქეიფი, სიმღერა და ცეკვა მოგვენატრაო. მართლაც ქეიფი მარტო დალევა ხომ არ არის?

ცხოვრება იქაც დინებას მიჰყვება: გზები კეთდება, მშენებლობები მიდის, არის ჩინური მაღაზიები, ქალაქები უკეთესი ხდება, ტურისტიც ბევრია. ამას რომ ვუყვები ჩვენს დევნილებს, სწყინთ. მე მესმის მათი, სწყინთ ის, რომ ჩვენი მშობლიური ქალაქები უჩვენოდ შენდება და სხვა ეპატრონება.

**— რა დაგაბარეს იქაურებმა ქართველებთან?**

— მოკითხვები. აქაც და იქაც სისხლით ნათესავები ცხოვრობენ — ბიძაშვილ-მამიდაშვილები, დეიდაშვილები...

**— მოკითხვებით იწყება და მთავრდება ყველაფერი?**

— პოლიტიკოსი არა ვარ და არც მინდა ჩავერთო პოლიტიკაში. მათ იციან ჩემი დამოკიდებულება, მხოლოდ ადამიანური ურთიერთობებით ვიფარგლები.

**— და მაინც... რომ ჩამოხვედით, არ გკითხეს იქაური ამბები აქაურმა ოფიციალურმა პირებმა, აფხაზეთის მთავრობის ხელმძღვანელებმა, ისე, უბრალოდ, ინტერესისთვის მაინც?..**

— არა, სამწუხაროდ, არავის უკითხავს. ერთადერთი მთავრობის წარმომადგენელი იყო ირაკლი ალასანია, რომელიც, როგორც მახსოვს, ინტერესდებოდა ხოლმე ასეთი ვიზიტებით.

**— და ბოლოს... ბატონო გურამ, თქვენ ახლა რედაქციის სტუმარი ბრძანდებით, მაგრამ სულ მალე ჩვენი მკითხველის მასპინძელი გახდებით. გაზეთის ფურცლებიდან აპირებთ ყველა იმ მნიშვნელოვანი ამბის მოყოლას, რომელსაც პოლიტიკასთან ერთად განსაკუთრებული ადამიანური ურთიერთობის ხიბლი აქვს.**

— დიახ, თქვენი რედაქციის ინიციატივით გამოვაქვეყნებ წერილებს, მოგონებებს, მოვლენებს, რომლებიც ქართველების და აფხაზების ურთიერთობას შეეხება. მინდა, რომ ეს კარგი ურთიერთობები არ დაიკარგოს. ქართველებს მივაწოდო ის დაფარული ინფორმაციები აფხაზების შესახებ, რაც არ ისმის და პოლიტიკის მიღმა რჩება, თუმცა სწორედ ეს არის საინტერესო...

**— ბატონო გურამ, როგორ გიგრძნობთ გული, დაბრუნდებით თქვენ სახლში, სოხუმში?**

— ერთ დროს მივაღწევთ იმას, რაც იქნება კარგი როგორც აფხაზებისთვის ისე ქართველებისთვის. სოხუმში რომ ვიყავი, ჩემ სახლში დამპატიჟეს, სადაც ახლა აფხაზები ცხოვრობენ. ვუთხარი: თუ ჩვენ არ შევრიგდით, ჩემი სახლი გინდ ყოფილა და გინდ არა; მე ამ სახლთან კი არ მოვსულვარ, თქვენთან მოვედი-მეთქი.

არის ახალი რეალობები აფხაზეთში და ამას ახალი მიდგომები და თვალის გასწორება სჭირდება...

**ესაუბრა**
**თეა მოსია**

## საბაგირო გზები

**არც თუ შორეულ წარსულში საჰაერო საბაგირო ტრანსპორტი ეგზოტიკის სფეროს განეკუთვნებოდა. აბა რა სჯობს, ფიქრობდნენ მაშინ, გადაუფრინო მშობლიურ მთებსა და ველ-მინდვრებს, დაატკბო თვალი და გონება მათი სილამაზის ხილვით, თანაც განა თვითმფრინავის სიჩქარით, როცა დაკვირვებასაც ვერ ასწრებ, ისე სწრაფად ენაცვლება ყველაფერი ერთმანეთს, არამედ ნელა, მშვიდად, წყნარად, გულდანდობით და მეტი თავდაჯერებით.**

მაშინ ასე ფიქრობდნენ, მაგრამ გავიდა დრო და მან, როგორც საერთოდ ხდება ხოლმე ცხოვრებაში, სერიოზული კორექტივები შეიტანა ამ წარმოდგენაში. დღეს უკვე საბაგირო ტრანსპორტი, სამგზავროც და სატვირთოც, ეგზოტიკის საზღვრებს გასცდა და ეკონომიკისა და ტურიზმის განვითარების მძლავრ სტიმულატორად იქცა. ამის მაგალითები უამრავია როგორც ჩვენში, ისე უცხოეთის მაღალგანვითარებულ ქვეყნებში.

რახან ტურიზმი ახსენეთ, ვიტყვი, რომ გლობალური კრიზისის ფონზე ამჟამად მთელს მსოფლიოში ტურისტების ნაკადის კლება აღინიშნება. ამ ტენდენციას საქართველოშიც გასული წლის აგვისტოს ომის შედეგებიც ამძიმებს. ამის მიუხედავად, ტურიზმის დეპარტამენტი ოპტიმიზმს არ კარგავს და სეზონის ჩავარდნას არ ელოდება. პირიქით, პარალელურად, რომ წლეულს ზაფხულში მარტო აჭარა 200 ათას ტურისტს უმასპინძლებს.

რამდენად გამართლდება ეს მოლოდინი, ვერ გეტყვით, მაგრამ ამ ქვეყანაში ჩავარდნილი ეკონომიკის ამოწევას და უცხოელი და ადგილობრივი ტურისტების მოზიდვას კეთილმოწყობილი ავტოსატრანსპორტო მაგისტრალები, მათ შორის საბაგირო გზები რომ ნამდვილად წაადგება, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. ამის თაობაზე თითქმის თავის ყოველ გამოსვლაში დაუღალავად და დაბეჯითებით შეგვახსენებს ხოლმე პრეზიდენტი სააკაშვილი, მაგრამ რატომღაც გაურბის საბაგირო გზების ხსენებას.

არადა კარგად ცნობილია, იმავე აჭარაში, რომელიც თავის ულამაზესი მთა-ბარითა და უნიკალური ზღვისპირეთით ასერიგად ხიბლავს ტურისტებს, თავის დროზე რამხელა როლი ითამაშა და დღესაც თამაშობს ხულო-თაგოს სამგზავრო-სატვირთო ბაგირგზა, რომელსაც ამ დღეებში საექსპლოატაციოდ გადაცემიდან 25 წელი შეუსრულდა.

დღეს ყველა ხედავს და განიცდის საქართველოს მთიანი რეგიონებიდან, რომელსაც ქვეყნის ტერიტორიის თითქმის 80 პროცენტი უჭირავს, მოსახლეობის მოზღვავებულ მიგრაციას, სოფლებისა და რაიონული ცენტრების მასობრივად დაცარიელებას, რასაც მწვავე სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებთან ერთად, იქ მისასვლელი გზების უქონლობაც იწვევს. ამ მ ხრივ განსაკუთრებით გამორჩეულია აჭარის მაღალმთიანი ხულოს რაიონი, სადაც ზოგიერთი სოფელი თვეობით სწყდებოდა ხოლმე რაიონულ ცენტრს. სწორედ აქ წარმოაჩინა თავი ხსენებულმა ბაგირგზამ (სამთო რეგიონებისთვის პირველმა ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზეძ, რომელმაც ხულო დიდი ხეობის ფერდობებზე განლაგებულ, ძნელად მისადგომ სოფელ თაგოსთან დააკავშირა.

— რა თქმა უნდა, ასეთი რთული ნაგებობა ბევრ თავსატეხს გვიჩენდა, — ამბობს ხულო-თაგოს უნიკალური ბაგირგზის იდეის ავტორი და დაპროექტება-მშენებლობის ხელმძღვანელი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **შოთა ორჯონიკიძე**. დიახ, მეტად რთული და ძნელი ამოცანა უნდა გადაგვეჭრა როგორც ტექნიკური, ისე მორალური თვალსაზრისითაც, რადგან 1721 მეტრი სიგრძის ბაგირგზის აგება შუალედური საყრდენის გარეშე იქაურ მოსახლეობასა და ხელმძღვანელობაში საკმაო ეჭვს იწვევდა. ამიტომ საქმეს დიდი სიფრთხილით მოვეკიდეთ. შედგა ტექნიკური პროექტი, რომელიც დასკვნებისთვის გადაეგზავნა სპეციალურ ორგანიზაციებს. გული დავიმშვიდეთ მხოლოდ მაშინ, როცა იმათგან ყველა განხორციელების სიზუსტეზე დასტური მივიღეთ, მათ შორის მოსკოვიდანაც, სადაც ბაგირგზის ტექნიკური პროექტის დაცვა პირადად მომიხდა.

პროექტი საბოლოოდ დაამტკიცა სამეცნიერო-ტექნიკურმა საბჭომ, რაც საფუძვლად დაედო სამუშაო პროექტს, რომელიც შეიმუშავა „ბაგირგზაპროექტში". სამშენებლო სამუშაოები შეასრულა სპეციალური ტრანსპორტისა და ავტომატიზაციის სისტემების სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის სპეციალიზებულმა უბანმა, ხოლო სამონტაჟო სამუშაოები — ამავე კომიტეტის სამონტაჟო-გამმართველმა სამმართველომ. ბაგირგზის მშენებლობაში აქტიურად ჩაერთნენ ადგილობრივი მოსახლეობა, რაიონისა და ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობა. თუ რამდენად დაფასდა შრომა, ეს კარგად ჩანს გზის შეუფერხებელი ექსპლოატაციის მთელი მეოთხედი საუკუნის მანძილზე. ბაგირგზით განსაკუთრებით იქაური მცხოვრებნი კმაყოფილდებოდნენ, რომლებსაც შესაძლებლობა მიეცათ, რაიონულ ცენტრამდე მისასვლელი დრო რამდენიმე საათიდან 15 წუთამდე შეემცირებინათ. და რაც მთავარია, ბაგირგზით გადაყვანილი მგზავრები და ტვირთი შეუფერხებლად მოძრაობენ წელიწადის ნებისმიერ დროს. ეს მაშინ, როცა ზამთარში, დიდთოვლობის დროს, უგზოობის გამო, სოფლებს და რაიონულ ცენტრს შორის მიმოსვლა ფაქტობრივად შეწყვეტილი იყო.

# მეგზოტიკიდან მეკონომიკისა და ტურიზმის მძლავრ სტიმულატორამდე



ბაგირგზას, მისი უნიკალურობის გამო, უამრავი დამთვალიერებელი და ტურისტი სტუმრობს ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებიდან და რაიონებიდან. ის მოინახულეს საქართველოს პარლამენტის სტუმრებმა ევროსაბჭოდან, რომლებმაც მაღალი შეფასება მისცეს და გამოთქვეს აზრი: კარგი იქნება თუ ასეთი ბაგირგზები არა მარტო საქართველოს მთიან რაიონებში, არამედ შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის (ბისეკისძ წევრ ქვეყნებშიც აშენდებაო.

**— კარგი აზრია,** — ვადასტურებ, **— მაგრამ თავად მაღალმთიან აჭარაში ბაგირგზების მშენებლობა ამით ამოიწურა?**

— არა, — ამბობს ბატონი შოთა, — ხულოს რაიონში ბაგირგზების განვითარების სქემით გათვალისწინებულია მეორე და მესამე ეტაპებზე დაპროექტდეს და აიგოს სამგზავრო-სატვირთო ბაგირგზები, რომლებიც რაიონულ ცენტრთან სოფლებს — ქედლებსა და შურმულს დააკავშირებენ. ასეთი ბაგირგზები მნიშვნელოვნად შეუწყობენ ხელს აჭარაში არა მარტო ტურიზმისა და სათხილამურო სპორტის განვითარებას, არამედ დასუსტებული ეკონომიკის მოღონიერებასაც, რამდენადაც ის დაასაქმებს ადგილობრივ მოსახლეობას და უზრუნველყოფს მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის გადარჩენა-გაძლიერებას.

**— მაგრამ ფინანსები?**

— ამაზე ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს. რა თქმა უნდა, მუნიციპალური განვითარების პროგრამებში უნდა გაითვალისწინონ ასეთი ბაგირგზების დაპროექტებისა და აშენების დაფინანსება. კარგი იქნება თუ ამ საქმით წარმატებული ქართველი და უცხოელი ინვესტორებიც დაინტერესდებიან, ფინანსებს არ დაიშურებენ და მიზნის განხორციელებაში ჩაგვეზიარებიან. ისინი ამით ეკონომიკური კრიზისის დაძლევაშიც მიეხმარებიან ქვეყანას და საშვილიშვილო სიკეთის მოსავალსაც მოიმკიან.

უფალმა გისმინოთ, ბატონო შოთა. ასეთ საქმეს ფულთან ერთად გულიც უნდა. იმედია, ასეთი ადამიანები საქართველოსა და უცხოეთში ჯერ კიდევ მოიძებნებიან.

**ოთარ ხუციშვილი**

## დღეს მწერლის დაბადების დღეა

გურამ რჩეულიშვილი

# უსახელო უფლისციხელი

მოთხრობა



რამდენიმე ხნის წინათ დამიბარეს ჟურნალ „ცისკრის“ რედაქციაში და მომცეს წინადადება დამეწერა ისტორიულ-ლიტერატურული ნარკვევი უფლისციხეზე. მე დავთანხმდი, მაგრამ რედაქციიდან გამოსვლისთანავე ვინანე. მოვექეცი ჩიხში. არ ვიცოდი რა მექნა. რაღაც წამოვიდა იდეასავით და მოკვდა. მთელი კვირა ვიარე უქმად. დრო კი გადიოდა. გადავწყვიტე ისტორიის შესწავლა დამეწყო. წყაროების სიმცირე და მშრალი ფაქტები მომხვდა თვალში პირველადვე. მერე გადავწყვიტე უფრო ფართოდ შემესწავლა უფლისციხის ისტორია. გავეცანი აღმოსავლეთ საქართველოს უძველეს სავაჭრო გზებს, რომელიც აქ გადიოდა, გავეცანი მის მიდამოებს: სადღაც აესხა მძივი. შევადგინე კონსპექტი. უფრო კარგად ვგრძნობ უფლისციხეს.

ახლა საღამოა.

ვზივარ სახლში და ვკითხულობ კონსპექტს. ის სულ უფრო მითრევს;

რამდენი ცოცხალია მკვდარ ისტორიაში, მხოლოდ ფანტაზია უნდა ოდნავ. ხვალ კი აუცილებლივ წავალ უფლისციხეში.

ახლა ღამეა. მეძინება.

ვიღებ კონსპექტს და ვკითხულობ ახლიდან:

უფლისციხის ტერიტორიაზე პირველი დასახლებული პუნქტის შექმნა ეკუთვნის დაახლოებით მეორე ათასწლეულს ჩვენს ერამდე. ამავე დროს ეკუთვნის მისი მიდამოების დასახლება მტკვრის ორივე ნაპირზე. თუმცა ცალკეულ სამოსახლოებს ამავე ადგილებში ვხვდებით ენეოლითის დროიდანაც.

ანტიკური ხანიდან იწყება ქართლის ტერიტორიაზე მდებარე სამოსახლო ადგილების გაძლიერება. ამ ხნის პირველ პერიოდში განსაკუთრებით ძლიერია მტკვრის მარჯვენა სანაპირო. აქ მტკვრის ყოველი შენაკადი ხეობა ცალკე გამაგრებულ რაიონს წარმოადგენს, რომლის ბინადარნიც თავს იყრიან რომელიმე ძლიერი სამოსახლოს გარშემო. იმდროინდელი გამაგრებული ადგილები გაშენებულია ბორცვებზე. ახლა ასეთი სამოსახლოს გათხრა მიმდინარეობს სოფელ ხოვლესთან ე. წ. ხოვლისგორაზე. მაგრამ იმდროინდელი ტექნიკისა თუ გახშირებული ლაშქრობა-ძარცვის პირობებში ასეთი გამაგრებული ბორცვები უძლურნი ხდებიან. ისინი, კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, თანდათან კარგავენ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ მნიშვნელობას. არის შემთხვევები სწრაფი დაცემებისაც. ასეთი დაცემის კვალი შემონახულია ხოვლიგორაზე.

ნელ-ნელა ეკონომიკური სიძლიერე და, მასთან, პოლიტიკურიც გადადის მტკვრის მარცხენა სანაპიროსაკენ. აქ იქმნება მთელი რიგი გამაგრებული ციხე-ქალაქებისა: მცხეთა, უფლისციხე, გორი, ურბნისი, ელინისტურ ხანაში ამ ქალაქებზე გადის მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი სავაჭრო გზა. გზა მოდის ინდოეთიდან ან ჩინეთიდან, ან სპარსეთიდან ამოდის კასპიის ზღვაში, მოჰყვება მტკვარს, გამოივლის ხუნანს, ზოსტან-ქალაქს, მცხეთას, უფლისციხეს, გორს, ურბნისს, შორაპანს, გადადის კოლხეთში ფაზისამდე (ფოთი). ამ დროისათვის უფლისციხე უკვე ძლიერი ქალაქია. მისი პირველი საფუძვლიანი გამაგრება-აშენება ამავე დროს უნდა ეკუთვნოდეს. უფლისციხის აშენებაზე დახარჯული შრომა მკაფიოდ ლაპარაკობს მონის შრომის გამოყენებაზე.

ამ ციხის გარშემო შენდება სოფლები. უფლისციხის დასავლეთით (გორის მიმართულებით) დადასტურებულია უზარმაზარი დასახლებული ადგილი და ხოვლისგორის მსგავსი სამოსახლო ბორცვი. აქ ამ დროისათვის უკვე სახლობს წარჩინებული-უფალი, რომლის მართველობასაც ექვემდებარება ახლომდებარე მიდამოები. მდაბიონი იქვე, ქალაქის კედლების გარეთ, სახლობენ. იმდროინდელი ტექნიკის პირობებში უფლისციხის აღება შეუძლებელია. მას ორი მხრიდან, სამხრეთიდან და დასავლეთიდან, საზღვრავს ბუნებრივი უფსკრულები, ხოლო დანარჩენ ორ მხარეს კლდეში გამოკვეთილია თხრილი, სიგანით ათ მეტრამდე და სიმაღლით ოთხ-ხუთ მეტრამდე. ახლა იგი უკვე საკმაოდ ცნობილი ქალაქია. თავისი შინაგანი სიძლიერით თუ არქიტექტურული გარეგნობით იგი ყურადღებას იპყრობს. უზარმაზარი ქვაბები, ტალანები თუ პატარა საკნები, მთელი სამლოცველოებიც კი კლდეშია შეთხრილი და საიმედოდ დაცული. შინაგანად კედლები მოჩუქურთმებულია. ამ კედლებთან იშვიათი არ არის აქლემთა თუ ჯორცხენთა ქარავნები, დატვირთული აღმოსავლური საქონლით. ამავე დროს ეკუთვნის გორისა და მცხეთის გაძლიერებაც. ახლო კულტურული კავშირი მყარდება ამ ციხე-ქალაქებს შორის.

უფლისციხე თავის მნიშვნელობას ინარჩუნებს არაბობის დროსაც. ამ ხანისათვის იგი წარმოადგენს მნიშვნელოვან ამოსავალ პუნქტს ქართლის გაერთიანებისთვის. უფლისციხის დასაპატრონებლად ერთმანეთს ეცილებიან სომეხთა მეფე, აფხაზთა მეფე და არაბთა ცნობილი სარდალი აბულ-კასიმი. შემდეგი ბრძოლები უფლისციხეს ახსოვს ძმათა შორის სისხლისღვრის დროს, როდესაც გიორგი აფხაზთა მეფე გარს შემოეწყო „ყოველთა ძალითა თავისითა და მოიყვანნა ტაოელნი მეფენი და მრავალთა დღეთა და ვერარას ავნებდეს ციხესა, რომელ მრავლად დგეს შიგნით“. როგორც ჩანს, უფლისციხის აღება იმ დროს ან მოტყუებით, ან ურიცხვი სპით შეიძლებოდა.

საქართველოში არაბთა ბატონობის შესუსტებასთან და თბილისის განთავისუფლებასთან დაკავშირებით, უფლისციხე კარგავს თავის ძველ მნიშვნელობას და მყუდრო ცხოვრებას იწყებს.

ახლა, როდესაც გავეცანი ამ ქალაქისა და მისი მიდამოების ისტორიას, მივდივარ მის სანახავად. დარწმუნებული ვარ, რომ ყველაფერი უკვე ნაცნობი იქნება ჩემთვის. მატარებელი დილით გადის. რუხია და მოწყენილი. არა ცხელა. ლიანდაგი გზას მიიკვლევს უამრავ პატარა თუ დიდ სახლებს შორის. მერე წყდება. ახლა მთაზე რაღაც საყდარი მოჩანს, შემდეგ ისევ რიგია სახლების; ზევით, მთაში, გვირაბი გაყავთ. მტკვრის მეორე მხარეს ვენახებში იფლობა დიღმის ველი. ვათვალიერებ და მინდა ერთი ადგილი მაინც დავინახო დაუსახლებელ-დაუმუშავებელი. მატარებელი ზაჰესის ხიდზე გადადის, ზაჰესი უკან რჩება. წინიდან მოდიან ხრიოკი მთები. აქ ახლა არავინ სახლობს, არც ხნავს. ხანდახან საყდარი და ძველი ქვაბულები მოჩანს. მრავალჯერ განცდილი, უფრო იზრდება ჯვარი, სვეტიცხოველი, შორს სამთავრო, არმაზი, სარკინეთი. სადღაც მთებში გამოქვაბული და შიო მღვიმის მონასტერი. მერე ისევ ციხე მთაზე. ხალხი იღიმება, „მაგას ჭუჭუა მომჭამეს ციხე ჰქვია“, მიჩურჩულებს ვიღაც, მეც ვიღიმები... „რატო?“ ვკითხულობ. ის ჰყვება თათართა ალყის ამბავს, შემდეგ საიდუმლო გვირაბზე ჰყვება, რომლითაც ქართველები მდინარეზე გადიოდნენ და კალმახებსაც კი იჭერდნენ. მეციხოვნენი კალმახებს ლაჯებს შუა იდებდნენ. ახელებდნენ თათრებს. „ჭუჭუა მომჭამეო“, ეძახდნენ. დამარცხდნენ თათრები. ეს ამბავი მეც ვიცოდი. მე სხვაც ვიცი. ახლა მთების იქითაც ვიხედები, მიწის შიგნითაც ვიხედები — მაგონდება ახლად ნასწავლი. იქით ხეობებია ქართლის, კლდეკარები, სააკაძის სამშობლო ნოსტე, ერთაწმინდა. აქეთ, კასპის მიწაში, ორი ათასი წლის წინანდელი სამოსახლოებს ვხედავ.

მატარებელი ჩერდება. მიდის. ჩერდება.

გრაკალიდან ხოვლე მოჩანს. ხოვლის ბოლოზე უძველესი სამოსახლო ბორცვი ითხრება. მატარებლიდან საკონტროლო თხრილი ჩანს შავ ხაზად. მატარებელი ისევ მიდის. ჩერდება. მე ქვახვრელში ჩამოვდივარ. აქ, ქვაში, ხვრელებია სამოსახლო, იმიტომ ქვია ქვახვრელი. მწვანეში ზის ახლანდელი სოფელი. ჩემს პირდაპირ მტკვრის მარცხენა ნაპირიდან უფლისციხე იყურება. გამოთხრილი თვალებით. ცხელა. მე მტკვრის ნაპირზე ვჯდები. ვისვენებ, ჩემს პირდაპირ ბორანს აკეთებენ. იმის უკან სახლს აშენებენ. დავიღალე. ამდენი შთაბეჭდილება ერთ დღეში! ერთი ადგილი ვერ ვნახე, რომ თავისი ისტორია არ ჰქონდეს, რომ ქვა არ იყოს ქვაზე დადებული. და ეს მონაკვეთი, რაც მე დღეს ვნახე, ნაწილია ერის. ვცდილობ აღარ ვიფიქრო. ჭიანჭველასავით მშრომელი და დაუზარებელი ყოფილა ჩემი ხალხი — ისევ ვფიქრობ. მერე აღარ ვფიქრობ. მზე უფრო აჭერს. მე ნელა მივყვები ბაღების ხეივანს. აქ ჩრდილია და ცოტა ვისვენებ. შემდეგ მწვანე უცებ წყდება: გვერდიდან მაცხუნებს უფლისციხე. ავდივარ ქვაბებში. ვიწყებ ზევიდან, ჩამოვდივარ ქვევით. ჯერ ვერ გავრკვეულვარ კიდევ. ქარი სისინებს ნაპრალებში. ქანი იფიტება. ქარი უფრო ღმუის. გრძელფეხა ჯოჯოები ხრიოკებს სერავენ. უარყოფით კედლებზე დარბიან ეშმაკებივით და შუა კედელზე ქრებიან. მე ქვას ვესვრი. ქვა ხვდება. ჯოჯო გაკვირვებული მიყურებს, მერე მირბის. მივდევ. უცებ კლდე წყდება და იწყება უფსკრული. ჯოჯო ქვევით ჩარბის. მერე ჩერდება და ისევ იხედება. ქვევით ხრიოკი სოფელი მოჩანს. ისტორიიდან ვიგონებ — აქ დიდი დასახლებული ადგილი ყოფილა. ახლა სოფელი გადაბუგულია; სულ არა ჰგავს ქვახვრელს. მეჩვენება: ჯოჯო იქით მიდის, მერე ისევ უკან მოდის და სხვებს აღვიძებს. „იქნებ ძველი მეციხოვნეების შთამომავლები არიან ჯოჯოები“. ვფიქრობ, „იქნებ დაპატარავდნენ ისინი და ჯავშანში გახვეულები დარბიან“. აქ ხრიოკი და უდაბნოა. ქარი საშინლად უბერავს. ცხელა, ქვიშა გეყრება თვალებში. აქ ყველაფერი შეგიძლია იფიქრო ყველაფერზე. თითქმის ბანცალით შევდივარ ღრმა ქვაბში და ქვიშაზე ვწვები. ქვიშა აქ ცივია. მე ვწევარ და ჭერს ვუყურებ. ჭერი დატიხრულია. ჩუქურთმები გამოდიან სიბნელიდან. კედლები მოხატულია ფარდაგად. აქ ჯოჯოები არ დადიან. ჯოჯოებს ეშინიათ სიცივის. ისევ ჭერის ჩუქურთმებს ვუყურებ. თვალები დაღლილი მაქვს და ძლივს ვარჩევ ჩუქურთმებს შორის ღრმად ამოჭრილ წარწერას ვოლკოვ, მერე კედელზე გადამაქვს მზერა, აქ უფრო ღრმადაა ამოჭრილი ტორომოსოვ. ისევ ვხუჭავ თვალებს; მაგონდება მატიანეში ამოკითხული, რომ აქ ქვა რბილია და ადვილი დასამუშავებელი. ყველას შეუძლია ამოჭრას რაც უნდა. მე ჯიბიდან დანას ვიღებ და ვჭრი ჩემს გვარს. კლდე იფშვნება. მაინც შეიძლება გარჩევა, რომ მე აქ ვიყავი 1957 წლის ივლისში. რაღაც სასიამოვნოა იმაში, რომ შენი ყოფნა აღნიშნო. ალბათ, ასევე ჰგვრიდა სიამოვნებას ტორმოსოვსა და ვოლკოვს. ალბათ.

მეც მსიამოვნებს.

გამოვდივარ გარეთ.

ცხელა.

ისევ ჩავდივარ ქვევით და ხელოვნურ თხრილს მივყვები ზევითკენ. მისი სიმაღლე საშუალოდ ოთხი მეტრია. ის კლდეშია ამოჭრილი. თხრილი ზევით მიდის, მერე ბუნებრივ ხევს უერთდება. აქედან იწყება უფსკრული. თუ არა გვირაბით, შეუძლებელი იყო ამ ქალაქში ასვლა. მე უფრო ზევით ავდივარ. აქედან უფსკრული უფრო ღრმა მოჩანს. ის საშიშია. მე მსიამოვნებს, რომ ის საშიშია: რაღაც ბუნდოვან შეგრძნებას იწვევს. მზე აჭერს. ვბრუნდები. ვწევარ და ქალაქის ისტორიაში დავბორიალობ; რამდენიმე მთავრის თუ მეფის სახელი და, მორჩა. „საინტერესოა, რატომ არ შემორჩა ვინმე გმირის სახელი, გლეხი გმირის“, — ვფიქრობ. მზე უფრო აჭერს, მე უფრო ვბრუვდები. თვალებსა ვხუჭავ. მინდა ცოტა წავიძინო. ძილი კი არ მოდის. თვალებდახუჭული უფრო მეტსა ვხედავ. მეჩვენება, რომ ღამეა და უფლისციხე გარშემოწყობილია. მეციხოვნეებს ცეცხლი უნთიათ. დიდ ქვაბებში ადუღებენ კუპრს. თხრილებთან ქვა გროვდება დასაშენად. თხრილის იქით კი მტრები დგანან.

მხოლოდ უფსკრულის მხარეა ჩაბნელებული. აქ ყარაული არ არის საჭირო. აქ ამოსვლა შეუძლებელია. ღამე ცა იბურება და ჟინჟლავს.

იმ წელს ადრე შემოდგომაზე მოდის თოვლი. თოვლი ზაფხულში გახურებულ კლდეს ადნება, მხოლოდ უფსკრულის მხარეს იკიდებს ფეხს.

ქარი მატულობს.

მერე უფრო მატულობს.

მეციხოვნენი თავს იბურავენ. ქარი საბურავებში შედის და ყურებსა ყინავს.

სამლოცველოში ქარი არ არის. აქ ქალები მუხლმოდრეკით ევედრებიან ღმერთს. ღმერთი ისმენს და პასუხს არ აძლევს — უსაზღვროა მისი ძალა თუ უფლება. ქალები კი მუხლმოდრეკილი ლოცულობენ თავიანთი შვილებისათვის. შვილებს კი სძინავთ: ღრმა ქვაბებში კლდის საწოლებზე თივა ყრია, თივაზე ხალიჩები აგია და იმაზე. მერე რომელიმე იღვიძებს. ტირის, უძახის დედას. ისევ იძინებს. ახლა სხვა იღვიძებს. ტირის, უძახის დედას. დედა კი ფილაქანზეა დაჩოქილი. მუხლისთავებიდან სისხლი სდის. ლოცულობს. ლოცულობს თავისი შვილისათვის — ღმერთი დიდია და მოწყალე,

უსაზღვროა მისი ძალა.

გარეთ ცივა.

ქარი შრიალით ყრის ხევებში მიწას.

თხრილის იქით მტრები დგანან და ემზადებიან.

იერიში გათენებისას დაიწყება.

მეციხოვნენი ცოტანი არიან, მტერი ბევრია, ბევრად მეტია. დიდი მთავარი მჭუნვარეა – „გაუძლებს ციხე“?! – არის მისი ფიქრი. იერიში კი დილით დაიწყება. შუაღამისას ქარი ღრუბლებს ყრის. ყინავს. უფსკრულზე თოვლის ყინულები ეკიდება. უფრო მატულობს ქარი. ღრუბელი აღარ არის. ვარსკვლავები უმთვარო ღამეში მოჩანან დიდი, შორეული, ცივი.

უფსკრულში კაცი მიცოცავს. ის ფეხშიშველაა. ქალამნიანი ფეხის მოკიდება აქ არ შეიძლება. კაცის თვალები არ ჩანს, არც ტანი ჩანს, არც თავი, არც სისხლიანი ხელები. ის მიცოცავს. ყინვა იჭრება მის სხეულში, თითები უხევდება: ცერი ყველაზე ადრე კვდება; მერე კვდება ნეკი. ის სამსამი თითით მიცოცავს. ის უკვე ექვსი საათია რაც მიცოცავს. ჯერ სწორზე მოფორთხავდა: მტერთა ბანაკიდან გზა ვაკეა უფსკრულამდე: ბანაკი კი გარშემორტყმულია. ის მისი შუაგულიდან მოფორთხავს. ის მათი სარდლის მზარეული იყო. როდის გახდა მზარეული, აღარ ახსოვს. მისი გონება ბუნდოვანია. მხოლოდ ის იცის, რომ მისი სამშობლო ეს არის, ხოლო ის, ვისაც ემსახურებოდა – მტერია. მტერს კი მისი არ ეშინია. მტერი მისი თანდასწრებით ლაპარაკობს, ადგენს გეგმებს. ის მთავარსარდლის მზარეულია დიდი ხნიდან და ენა არა აქვს. არა აქვს იმიტომ, რომ მოჰკვეთეს. მთავარსარდალს არ სჭირდება მსახური ენით. ამიტომ მოჰკვეთა ენა და ჰყავს უენო მსახური. უენომ იცის, რომ ისინი, მისი ბატონები და მისი ხალხის მტრები, საიდუმლო გზით ადიან ღამე. იცის უენომ და თქმა არ შეუძლია.

ახლა ის უფსკრულის თავზე ჰკიდია. აქ შუაგზაა.

ზევით ციხეა – იქ არის მისი ხალხი. ქვევით კი უფსკრულია და მტრები დგანან – მისი ბატონები.

ქარი მატულობს.

ყინავს.

ქარი უფრო მატულობს.

ეკლესიაში, სადაც დიდები ლოცულობენ ბავშვებისათვის, ღრიალით იჭრება ქარი. კარები იღება და იხურება. ქარი წყდება. უენო დგას შიგ. მის უკან კარები მიხურულია. ის დგას. მერე მუხლებზე ეცემა თავისი ღმერთის წინ და ლოცულობს. ღმერთი დიდია და მოწყალე. განუსაზღვრელია მისი ძალა.

ქალები კუთხეში მიყუჟულები შიშისაგან კანკალებენ და აღარ ლოცულობენ.

გადის ხუთი წუთი.

გადის ათი წუთი.

გადის ნახევარი საათი.

წინ უენო მიდის. იგი ფრთხილად ადგამს ფეხს. უკან მეციხოვნენი მისდევენ. ის უენოა და ხელით ანიშნებს. ის უენოა და ვერ კვნესის; ფეხები კი დახლეჩილი აქვს. ტერფები დახეთქილი: ლურჯი, წითელი, შავი.

დილით მზე აცხუნებს უფლისციხეს.

მზე აცხუნებს სალოცავს. სხივი სალოცავში სარკმლიდან შედის და ძირს ეცემა. მისი ფერია წითელი და შავი. იქ კაცია დამხობილი მუხლებზე. ლოცულობს. სიტყვები არ ისმის. ის უენოა. ქალები დასისხლიანებული მუხლისთავებით დგანან ფილაქანზე: ღმერთს მადლობას სწირავენ გადარჩენისათვის. ღმერთი დიდია და მოწყალე.

გარეთ მზე ანათებს და გვამებს ზერავს. ისინი ყრიან ყველგან; უფსკრულის ძირას, უფსკრულის თავზე, თხრილის გარეთ და თხრილის შიგნით.

მეციხოვნენი თხრიან უზარმაზარ სამარეს:

ხვალიდან აყროლდება გვამები: დღე წყნარია და მზე აცხუნებს. ვიღაცა ჭიანურს ზერავს. დიდი მთავარი გაღიმებული დადის ტალანებში, მერე მხსნელს იბარებს თავისთან. ის მეციხოვნეებს მოჰყავთ ხელით. მას ფეხები დაყინული აქვს და სიარული არ შეუძლია. მას სვამენ ტახტზე; კიდევ ერთხელ უხდიან მადლობას.

სთხოვენ:

თქვას თავისი ვინაობა; ის კი უენოა;

სთხოვენ:

დაწეროს თავისი გვარი ან სახელი; მან კი წერა არ იცის.

და გვერდზე საკანში, ღმერთს შეწირული კაცი, უფლის მონა, შლის მატიანეს და წერს დიდი ასოებით: „ჟამსა ამასა და ამასა, წყალობითა ღვთისათა, დიდმა მთავარმა ვამეხმა სძლია მტერს და უკუაქცია იგი კედლებიდან უფლისციხისა“.

მე ვფხიზლდებისავით.

მზე ჩასულა.

აღარ აცხუნებს.

ქარი კი მატულობს.

ვდგები. მეჩვენება, რომ მე ვიცი ამ კაცის სახელი. რაღაცას ვლუღლუღებ. ალბათ, ვაჟა ერქვა, ან, უბრალოდ, კაცები, ან გურამი, ან რატი; ქართველებს უმეტესად ეგ სახელები ჰქვიათ, იმასაც ეს ერქმეოდა. „ჰო, უეჭველად რომელიმე მათგანია ის“, ვფიქრობ.

საშინელ წყურვილს განვიცდი; მათარა თანა მაქვს. მაინც არა ვსვამ. რატომღაც მინდა უფრო მომწყურდეს. შევდივარ დიდ ტალანში, აქ ქვის სკამებია და ქვის მაგიდები. ვჯდები ქვის სკამზე. ვინ იცის, ვინ იჯდა აქ?! შეიძლება დიდი მთავარი ვამეხიც. ვფიქრობ. ვიწყებ წერას. არ შემიძლია ამდენი ვნახო და არაფერი დავწერო. ფურცლებს ვუზიარებ ჩემს განცდას.

რაღაც მაწუხებს. ვერაფრით ვერ მოვახერხე ჩამყუდროება.

ქვის სკამიც კარგია, მაგიდაც კარგია: მაინც ვერ მოვეწყვე. აქ ყველაფერი ძველია და საიდუმლო.

ვდგები.

ჩემ გარშემო კი ყველაფერი ძველია და საიდუმლო, ახალი მხოლოდ არქეოლოგთაგან დატოვებული მიწის გასატანი საკაცეები ყრია. ისინი დამტვრეულია. ალბათ, ერთი თვის წინათ გააკეთეს, ერთი თვის შემდეგ კი დაიმტვრა. საკაცეებისგან მაგიდის მსგავსს ვაკეთებ: ერთმანეთზე ვდგამ სამს და ისე. ერთ საკაცეს ქვეშ ვიგებ. ვჯდები. მოვეწყე. განვაგრძობ წერას. ვერთობი. ჩემ გარშემო კი ტალანია დიდი, ცარიელი, საშიში. აქ მხოლოდ ქვის სკამები და მაგიდები დგას, ძველი, ძალიან ძველი.

მე კი ვზივარ ერთი თვის წინათ გაკეთებულ საკაცეზე და ვწერ.

ეს საკაცე უფრო მოხერხებულია ჩემთვის: ალბათ, ერთ დროში ვართ გაკეთებულები ორივენი და იმიტომ.

## ◎ უკვდავებასთან წილნაყარი

# ის დღესაც ოცდაექვსი წლისაა

გონებიდან რა წაშლის: 1960 წლის ზაფხულია, დედაუნივერსიტეტში ვაბარებ მისაღებ გამოცდებს „გლეხის ბიჭი, გლეხის გულით“. ერთ დღესაც, ვხედავ, უნივერსიტეტის წინ, ჭადრებთან დგას ახალგაზრდა კაცი (მერე გავიგე პოეტი რეზო ამაშუკელი ყოფილა) და ირგვლივ მყოფთ ხმამაღლა უკითხავს გურამ რჩეულიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ ლექსს (მახსოვს განუმეორებელი კალიგრაფია ცალხაზიანი რვეულის ფურცლებზე), ახალგაზრდა მწერალი, 26 წლის გურამ რჩეულიშვილი წინა დღეს დაღუპულიყო ზღვასთან ჭიდილში...

რა გასაკვირია, მე მაშინ არც გურამ რჩეულიშვილი გამეგონა და არც მის შემოქმედებას ვიცნობდი. მისი პირველი მოთხრობები 1957 წელს დაბეჭდილიყო ახლადაღდგენილ ჟურნალ „ცისკარში“. მერე და მერე, ჩემი – უკვე სტუდენტის – უსაყვარლესი მწერალი გახდა გურამ რჩეულიშვილი. უნივერსიტეტის ბაღში მიყვებოდა შოთა ჩანტლაძე გურამის დაუდგრომელი ბუნების, მისი გამორჩეული სტილის, „ახალი პროზის“ შესახებ, რომელსაც უკვე მრავალი მიმბაძველი გასჩენოდა. ნიჭს რა დაიკავებს: გამოვიდა გურამის პირველი წიგნები, რეჟისორმა გიორგი შენგელაიამ გადაიღო „ალავერდობა“, სიყრმის ძმაკაცმა, პოეტმა ნუგზარ წერეთელმა გამოსცა გურამისადმი მიძღვნილი შესანიშნავი ავტობიოგრაფიული ნარკვევი „მე ახლაც 26 წლისა ვარ“ (სათაური – მწერლის ერთ-ერთი მოთხრობიდან – „მე ახლაც 25 წლისა ვარ“), დაიწერა უამრავი ლექსი, ესსე თუ პორტრეტი.. ყოველივე ამან კი თაობების უსაყვარლესი პროზაიკოსი გახადა „რჩეულა“.



* * *

ვიცოდი, თითქმის მთელი შეგნებული ცხოვრება ტრაგიკულად დაღუპული უნიჭიერესი ძმის შემოქმედების პატრონობას რომ შეალია მარინე რჩეულიშვილმა – შესანიშნავმა ფილოლოგმა, ინგლისური ენის სპეციალისტმა, „რჩეულას“ საფიცარმა დაიამ. ჰოდა, დღეს, როცა გურამ რჩეულიშვილის დაბადების დღეა, როცა იგი 75 წლისა უნდა გამხდარიყო, ქალბატონ მარინაზე უკეთ ვინ მეტყოდა ერთ-ორ სიტყვას გურამზე?

შევაწუხე, მივადექი ფალავანდიშვილებს სოლოლაკში, ამაღლების ქუჩაზე... ძველი თბილისის ხიბლით მადლცხებული ბინა... ერთი ვეება ოთახი „გურამისაა“, აქ მისი ხანმოკლე სიცოცხლე განფენილა ფოტოებად, ფერტილოებად...

ქალბატონ მარინას გამოაქვს სახელოვანი ქართველი მხატვრის, „რჩეულას“ მეგობრის,ბატონ ზურაბ წერეთლის მიერ დაფინანსებული და „საარის“ მიერ ამ ბოლო დროს გამოცემული ტომეულები, რომლებშიც ჩატეულია გურამ რჩეულიშვილის მთელი შემოქმედება.

– მისი არქივის მიხედვა რომ გადავწყვიტე – მესაუბრება მასპინძელი, – ბევრ სირთულეს წავაწყდი, უნივერსიტეტის დატოვებაც კი მომიხდა და ლიტერატურის ინსტიტუტში გადავედი, რომ გულდაგულ მემუშავა... 20 წელი გავიდა... დედნები ერთიანად შავად იყო ნაწერი, ბევრს თარიღი არ ესვა, საჭირო იყო ქრონოლოგიური ჩარჩოს შედგენა, კრიტერიუმის მოძებნა, თუ რა პრინციპი დამეცვა, იმაზე უნდა მეფიქრა, რა დამეტოვებინა... ტექსტოლოგიაც კი შევისწავლე და ჩემს თავს უფლება მივეცი მხოლოდ ორთოგრაფიას, პუნქტუაციას შევხებოდი. ძველ გამოცემებში ცენზურისა და რედაქტორების მიერ ტექსტი ნამეტანი „დახვეწილი“ იყო, მაგალითად „ირინას“ სიუჟეტი, მისი დაბოლოება შეეცვალათ კიდეც... გურამს აქვს ერთი ასეთი ნაწარმოები – „ჩემი ლიტერატურული შეხედულებები“, რომელიც აერთიანებს სამ მოთხრობას – „ირინა და მე“, „ალავერდობა“ და „დღიური“. წინა გამოცემებში ესენი ცალ-ცალკეა დაბეჭდილი, რაც არაფრად არ შეიძლებოდა, რადგან ირღვეოდა მწერლის ჩანაფიქრი, მისი გზა, ევოლუცია... გარდა ამისა, შეცვლილი იყო სიუჟეტური ქარგა. „ალავერდობაში“ მთელი წინადადებები იყო ამოღებული... ამით ძალიან ატკინეს გული, დადარდიანებული წავიდა ზღვაზე... წავიდა და წავიდა... ამ ტომეულებში შევეცადე ყველაფერი შემეტანა, რაც მის კალამს „დასცდა“.... მთლიანად აღდგა „შაშას რევოლუცია“ – ძალზე მნიშვნელოვანი, სიმბოლური პროზა... დაბეჭდილია გურამის ლექსები, ტრაგედიები... ყოველივე განლაგებულია ჟანრულ-ქრონოლოგიური პრინციპით. დაბეჭდილია გურამის დღიურები, ფოტოები საოჯახო ალბომიდან...

– დიდი შრომა გაგიწევიათ... რა გასაკვირია...

– ჰოდა, ახლა მონოგრაფიას ვწერ გურამზე... პირველ ნაწილში მოთხრობილია მისი ბავშვობა, მისი თვისებები... მეორე ნაწილი ეხებოდა, უკვე, როგორც მწერალს... ეს იყო ძალზე რთული ცხოვრების გზა... საიდუმლოებებით მოცული...

– ღმერთი შეგეწიოთ!

* * *

ერთხელ გურამ რჩეულიშვილი თავის უახლოეს მეგობარს ერლომ ახვლედიანს წერს:

„ბევრს ნიშნავს ჩემთვის ის ფაქტი, რომ მე გავჩნდი... მისია ამ ფაქტისა მდგომარეობს იმაში, რომ სხვებისთვის იმავეს ნიშნავდეს ეს ფაქტი“.

ცხადია, რა გასაკვირია, რომ შინაგანად გრძნობდა საკუთარ სიდიდეს, ნიჭს, ძალას, ენერგიას... ჰაი, ჰაი, რომ ქართული მწერლობისთვის, მართლაც ბევრს ნიშნავს ის ფაქტი, რომ არსებობს გურამ რჩეულიშვილის შემოქმედება, რომელსაც ინტერნეტის ეპოქაშიც კი თაყვანისმცემელი არ აკლია...

* * *

რასაც მის შეუპოვარ ხასიათზე, რასაც მის რაინდულ სულზე, გვარის, ჯიშის, ახლობლების, მეგობრების, თანამოკალმეების, მშვენიერი სქესის მიმართ დამოკიდებულებაზე ჰყვებიან (თანამედროვენი წერენ, იგონებენ...), ალბათ, კანონზომიერიც კი იყო მისი აბობოქრებულ ტალღებთან შერკინება და ტრაგედია (ამის წინათგრძნობა აქვს კიდეც ერთ-ერთ ნოველაში) და არა „სიკვდილი ლოგინში“. ჩვენ ხომ ვერ წარმოგვიდგენია ხანშიშესული ნიკოლოზ ბარათაშვილი, ლადო ასათიანი და მისი მეგობრები – ცხონებული ნიკა აგიაშვილისა არ იყოს, ჭაბუკები რომ დარჩნენ მარად, ასევე, ძნელია წარმოვიდგინოთ 75 წლის, უკვე ზამთრის პირას მდგარი გურამ რჩეულიშვილი... იგი ოცდაექვსი წლისა დარჩა, მარად ჭაბუკი დარჩა... ესეც რჩეულის (რჩეულიშვილის) ხვედრია.

**ვილენ მარდალეიშვილი.**

**სურათზე: ორი გულითადი მეგობარი ნოდარ ჩხეიძე (მოგვიანებით დედაუნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის ლექტორი – ისიც ტრაგიკულად დაღუპული) და გურამ რჩეულიშვილი (მარჯვნივ) ცხენებით ხევსურეთის მთებში.**

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# რუსეთი ომის ბილიკს უბრუნდება

**თითქოსდა, რა უნდა იყოს: პრეზიდენტი ბარაკ ობამა ორშაბათს მიემგზავრება რუსეთში, და ბევრ რუსს რისთვის უნდა სჭირდებოდეს ასეთ მომენტში წყლის ამღვრევა?** მაგრამ არა, რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში მუსირებს ხმები საქართველოში მორიგი ომის შესაძლებლობის შესახებ, და ზოგიერთი დასავლელი ანალიტიკოსიც ერთგვარად შეშფოთებას გამოთქვამს ამ ამბებთან დაკავშირებით. უგუნურობაა? დიახ და უგუნურად საშიში.

აი, ერთ-ერთი ნიშანი მომავალი საფრთხისა: მუდმივი საუბრები საქართველოს ეგრეთ წოდებული აგრესიის შესახებ გამოყოფილი რეგიონების აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ, რომლებიც რუსეთმა შარშან აგვისტოს ომის შემდეგ აღიარა დამოუკიდებელ სახელმწიფოებად.

„საქართველო იარაღს აჟღარუნებს... იგი ვერ შეელია მცდელობას, გადაწყვიტოს თავისი ტერიტორიული პრობლემები ნებისმიერი გზით", – განაცხადა 17 ივნისს „რია ნოვოსტისთვის" მიცემულ ინტერვიუში გენერალმა ნიკოლაი მაკაროვმა, 2008 წელს საქართველოში რუსეთის ჯარების სარდალმა. ასეთი გაფრთხილებანი არაერთგზის გაისმოდა სახელმწიფოს მხრიდან მის ხელქვეით არსებულ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში.

დამოუკიდებელი რუსი კომენტატორები, მაგალითად, ანდრეი პიონტკოვსკი აღნიშნავს, რომ გრძნობს პროპაგანდისტულ კამპანიას მოსახლეობის მომზადებისთვის მეორე ომისთვის. ამ ცოტა ხნის წინათ მოსკოვი სიხარულით აჩვენებდა ყველას ქართველ დეზერტირს ალიკ ბჟანიას, რომლის სიტყვებითაც საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი „მზადაა დაიწყოს ომი ხელახლა".

მაგრამ სწორედ რუსეთი აწყობს ამჟამად აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთსა და მიმდებარე რეგიონებში მასშტაბურ სამხედრო სწავლებას. ამას გარდა, რუსეთმა იქიდან გამოდევნა საერთაშორისო მეთვალყურეები. 15 ივნისს მოსკოვმა ვეტო დაადო გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციას, რომელშიც უგრძელდებოდათ მანდატი აფხაზეთში გაეროს მეთვალყურეებს,ვინაიდან მასში მინიშნებული იყო უფრო ადრინდელი რეზოლუცია, რომელიც ადასტურებდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. მოლაპარაკება ეუთოს მეთვალყურეთა მისიის გაგრძელების შესახებ ჩაიშალა რუსეთის წინააღმდეგობის გამო. ამჟამად სადავო სასაზღვრო ოლქებში აღარ დარჩა ერც ერთი საერთაშორისო მეთვალყურე გარდა ევროკავშირის მისიის 225 წევრისა.



თუ რუსეთს ნამდვილად აშფოთებს შესაძლო აგრესია საქართველოს მხრიდან, მაშინ ნეიტრალური მეთვალყურეების გამოდევნა წარმოგვიდგენია გაცილებით უფრო საშინელ ნაბიჯად. და თუ თავად რუსეთი გეგმავს თავდასხმას, მაშინ ყველაფერი ცხადი ხდება.

რას მოიგებს კრემლი? საქართველოზე გადამწყვეტი გამარჯვება გაანადგურებს საძაგელი სააკაშვილის რეჟიმს, საშუალებას მისცემს რუსეთს, დააწესოს კონტროლი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ენერგოშემცველების სატრანზიტო მარშრუტზე, დაამციროს ამერიკის შეერთებული შტატები და რუსების ყურადღება ეკონომიკური პრობლემებიდან გადაიტანონ სადღაც შორს. პიონტკოვსკი აგრეთვე მიიჩნევს, რომ ომი სურს პრემიერ-მინისტრს ვლადიმერ პუტინს, რომელიც ცდილობს, რადაც უნდა დაუჯდეს, იგრძნოს თავი უმაღლეს მმართველად.

მაგრამ დანაკარგები იქნება საშინელი. შარშან კრემლმა შეძლო ნაწილობრივ გამოესწორებინა ზარალი, რაც მიადგა ევროპასთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობის გამო, როდესაც საქართველოზე თავდასხმა წარმოადგინა, როგორც უპრეცედენტო კრიზისზე რეაქცია და არა, როგორც თავისი იმპერიალისტური სტრატეგიის შემადგენელი ნაწილი. მაგრამ მეორე ომი მიაყენებს საშინელ დარტყმას რუსეთის მცდელობას, მოიპოვოს პატივისცემა ცივილიზებულ სამყაროში, მათ შორის, მის მოჩვენებით პროექტსაც 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადის შესახებ.

ხოლო როდესაც პატრიოტიზმის მოჩვენებითი მგზნებარება ჩაქრება, სავსებით შესაძლებელია მას მოჰყვეს საპროტესტო განწყობილებათა ტალღა ქვეყნის შიგნით. უფრო მეტიც, რუსეთი აუცილებლად ჩაეფლობა ხანგრძლივი პარტიზანული ომის ჭაობში. ეს კიდევ უფრო მეტად მოახდენს დესტაბილიზაციას იმ რეგიონში, სადაც იმყოფებიან ქაოსითა და ძალადობით განადგურებული რუსეთის საკუთარი პროვინციები ინგუშეთი და დაღესტანი.

ეს ყველაფერი ნიშნავს, რომ ომი მართლაც ნაკლებად სავარაუდოა. უფრო სავარაუდოა ის, რომ რუსეთი შეეცდება მოახდინოს საქართველოს დესტაბილიზაცია სამხედრო მოქმედებათა გამოუყენებლად. შესაძლებელია, რომ იარაღის ჟღარუნით რუსეთი უბრალოდ ცდილობს, წაახალისოს სააკაშვილის საშინაო ოპოზიცია.

სხვათა შორის, მოსკოვის მოქმედებები ყოველთვის როდი იყო რაციონალური. თუ „ომის პარტია" საჭიროდ მიიჩნევს, რომ საქართველოზე თავდასხმის დროს დასავლეთი მოახდენს ზედაპირულ და არასასურველ ზემოქმედებას, მაშინ „ქორები" შეიძლება გათამამდნენ. 25 ივნისს ერთ-ერთ საიტზე გაჩნდა რუსი ჟურნალისტის იულია ლატინინას სტატია, რომელშიც საუბარი იყო, რომ ომის ალბათობა „დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ კრემლის უნარზე, დაირწმუნოს თავი იმაში, რომ შეუძლია დაარწმუნოს მთელი მსოფლიო, ომში დამნაშავეები მტრები არიანო".

აი, რატომ არის, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, მოახდინონ რეაგირება შექმნილ ვითარებაზე, რაც შეიძლება მალე გამოხატონ თავიანთი მტკიცე მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტისთვის და შეახსენონ რუსეთს აგრესიის შედეგების შესახებ. ასეთი განცხადება, თუ იგი ნათქვამი იქნება მოსკოვში პრეზიდენტ ობამას მიერ, გახდება კარგი არგუმენტი მორიგი ტრაგედიის თავიდან აცილების სასარგებლოდ.

**ქეთი იანგი**

THE WALL STREET JOURNAL

# გულახდილი საუბარი სააკაშვილზე

**საქართველოს სიმპათიური პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის დემოკრატიული რეჟიმი – ეს სხვა არაფერია, თუ არა მისი წინამორბედის, 2003 წელს სახელგანთქმული „ვარდების რევოლუციის" შედეგად გადაყენებული ედუარდ შევარდნაძის, ავტორიტარული და კორუმპირებული რეჟიმის პროდასავლურად შეფერილი კლონი.** ასე ამტკიცებს სალომე ზურაბიშვილი, ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი (ეს პოსტი მას ეკავა 2004 წლის მარტიდან 2005 წლის ოქტომბრამდე), თავის პროვოკაციულ წიგნში, რომელიც აღსავსეა გულღია საუბრებით: „პუტინსა და შევარდნაძეს, სააკაშვილსა და მედვედევს, სტალინსა და მის მიმდევართა შორის სინამდვილეში არ არის არავითარი პრინციპული საზღვარი. ყველა ესენი ერთი რეჟიმის – დემოკრატიის პაროდიის ხალხია".



ამ ენერგიულმა ქალბატონმა შიგნიდან დაინახა, თუ როგორ ფუნქციონირებს საქართველოს ხელისუფლება, როდესაც მუშაობდა საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად თბილისში. იგი დაიბადა პარიზში ცნობილი ქართველი ემიგრანტის ოჯახში, მან კარიერა გაიკეთა საგარეო საქმეთა სამინისტროში, შემდეგ სააკაშვილი მას, პრეზიდენტ ჟაკ შირაკის მხარდაჭერით, ირჩევს თავის თანაშემწედ ნამდვილი პროდასავლური დემოკრატიის მშენებლობაში. ასე ფიქრობდა იგი.

მისი წიგნი-ბრალდება „საქართველოს ტრაგედია" – ეს არის მოთხრობა მის შეცდომებზე. „მე ამირჩიეს მინისტრად იმ შთაბეჭდილების გამო, რომელიც შეიძლება მოახდინოს ამ დანიშვნამ და არა იმის გამო, თუ რა შემიძლია გავაკეთო", – განმარტავს იგი. იგი შევიდა ილუზორულ სისტემაში: „დემოკრატია, ესე იგი დემოკრატიული ინსტიტუტები, ხელმძღვანელების დემოკრატიული ენა, მათი ბიოგრაფია, სწავლა დასავლურ ქვეყნებში, – ყოველივე ეს გახდა შესანიშნავი ფასადი, რომლის იქითაც იმალება სრულიად სხვა სისტემა... სისტემა, რომელშიც გადაწყვეტილებათა მიღების პროცესი თავს იყრის პრეზიდენტისა და კიდევ რამდენიმე პირის ხელში, რომელთა შორისაც ყველაზე დიდი წონა აქვთ ძალოვანი სამინისტროების წარმომადგენლებს (შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებიძ".



იგი საუბრობს არა რუსეთზე, არამედ სწორედ საქართველოზე, სადაც ოპოზიცია უკვე რამდენიმე თვეა მოითხოვს პრეზიდენტის გადადგომას. მისი თვალსაზრისით „ახალგაზრდა დემოკრატების" გუნდმა, რომელმაც მოახდინა „ვარდების რევოლუცია", მხოლოდ აითვისა იგივე პრაქტიკა, რასაც იყენებს პოსტსაბჭოთა სივრცეში ქვეყნების უმრავლესობათა ხელისუფლება. პრეზიდენტი სააკაშვილი, როგორც მას წიგნის ავტორი აღწერს, ეს არის არა თანამედროვე ლიდერი, რომელმაც ვერ აითვისა დასავლური პრინციპები და რომელსაც აღტაცებით შესტქერის დასავლეთი, არამედ პიროვნება, რომელიც დაახლოებულია შევარდნაძესთან, რომელმაც, თავის მხრივ, გაიარა საბჭოთა ეპოქის დასასრულს სუკის კიევის სკოლა, მშფოთვარე და მანიპულატორული პიროვნება. თუ წიგნის ავტორს დავუჯერებთ, სააკაშვილმა გამოიყენა „გამოცდილი ტექნოლოგიები, რომლებიც მომდინარეობს მისი სახელოვანი წინამორბედისგან, სტალინისაგან, რომელსაც იგი ერთგვარი პატივისცემით ეპყრობა". არაფერს არ უწევენ ანგარიშს, თუ სააკაშვილს თავში რაღაც აზრი გაუჩნდა და იგი აღივსება ცივი გაბედულებით. ის ფიქრობს მხოლოდ ხელისუფლებაზე!", – განაგრძობს ავტორი.

ნებისმიერი პოლიტიკური პამფლეტი განზრახ ამახინჯებს სინამდვილეს, მით უმეტეს ავტორი დღეს ქართული ოპოზიციის ერთ-ერთი ხელმძღვანელია. მაგრამ ეს კრიტიკული შენიშვნები დასტურდება 2007 წლის ნოემბერში დემონსტრაციის მკაცრი დარბევით, 2008 წელს არჩევნების შედეგების ფალსიფიკაციით, „ხელის" პარლამენტის ჩამოყალიბებით, პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას სიკვდილით „უბედური შემთხვევისგან" და ყოველგვარი პროვოკაციების სპეციალისტის, ყოვლისშემძლე შინაგან საქმეთა მინისტრით ვანო მერაბიშვილით, რომელიც საქართველოს რეჟიმის მთავარი მოძალადე გახდა.

სალომე ზურაბიშვილი ამტკიცებს: სააკაშვილის ძალა იმაშია, რომ მან შეძლო დაერწმუნებინა ყველა, რომ იგი დემოკრატიისა და თავისუფლების მომხრეა, იცავს მათ ყოველგვარი ხელყოფისგან რუსეთის მხრიდან. ამრიგად მოიპოვა მან დასავლეთის მხარდაჭერა და მოსახლეობის ნაციონალისტურად განწყობილი ნაწილის მხარდაჭერა მაშინ, როდესაც სინამდვილეში იგი მოქმედებს რუსეთის ინტერესების დასაცავად ოლიგარქების შუამავლობით, რომლებიც, ავტორის სიტყვებით, ამჟამად მთელი ბლოკებით ყიდულობენ ქვეყნის ინფრასტრუქტურის ობიექტებს.

**პიერ ლორენი**

Valeurs actuelles

## დედამიწის ზურგზე



**ამერიკის ახალი დანაკარგები ახალ ოპერაციაში ავღანეთის სამხრეთით: დაიღუპა ერთი საზღვაო ქვეითი ჯარისკაცი, რამდენიმე დაიჭრა**

„თალიბების" მიერ კონტროლირებული ტერიტორიის შიგნით შეღწევის დროს ამერიკელები პრაქტიკულად არ ხვდებიან წინააღმდეგობას, ხანდახან გაისმის სროლის ხმები. ერთ-ერთი ასეთი სროლების დროს დაიღუპა ერთი და დაიჭრა რამდენიმე საზღვაო-ქვეითი ჯარისკაცი. ოპერაცია „ხანჯლის" მთავარი მიზანია – გაათავისუფლოს რეგიონი თალიბებისგან პრეზიდენტის არჩევნებამდე, რომელიც დანიშნულია 20 აგვისტოსთვის.

* * *

**ობამა რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისთვის მიცემულ ინტერვიუში საუბრობს „გადატვირთვის", მედვედევისა და მთელი მსოფლიოს წინაშე პასუხისმგებლობის შესახებ**



„იტარ-ტასისთვის" და ტელეარხ „ვესტისთვის" მიცემულ ინტერვიუში ამერიკის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ „ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობს ააგოს ურთიერთობა რუსეთთან თანასწორობის საფუძველზე". ჯერჯერობით ცნობილი გახდა მხოლოდ ზოგიერთი გამონათქვამი. ინტერვიუ ნაჩვენები იქნება 4 ივლისს ტელეარხ „როსიაზე", შემდეგ კი პროგრამა „ხელისუფლების ფორმულაში".

* * *

**პერუში ერთმანეთს ორი ავტობუსი შეეჯახა: დაიღუპა 23, დაიჭრა 31 კაცი**

წინასწარი მონაცემებით, ტრაგედიაში დამნაშავეა ერთ-ერთი ავტობუსის დაღუპული მძღოლი, რომელიც გადმოვიდა შემხვედრ გზაზე მეორე ავტომობილისთვის გასასწრებად.



* * *

**იაპონიის პარლამენტმა დაამტკიცა კანონპროექტი, სადაც სამხრეთ კურილიის კუნძულებს ეწოდებათ ქვეყნის „ისტორიული ტერიტორიები"**

ტერმინს „ისტორიული ტერიტორიები" სამხრეთ კურილიის კუნძულებთან დაკავშირებით რეგულარულად იყენებენ ადგილობრივი პოლიტიკოსები, მაგრამ იაპონიის საკანონმდებლო დოკუმენტში იგი პირველად გამოიყენება. ამ დროს იაპონიის მთავრობა გვარწმუნებს, რომ პარლამენტის ამჟამინდელი ნაბიჯი არ წარმოადგენს იურიდიულად სავალდებულო ძალას.



ლიტერატურული ძიებანი

# ქართული აღმოჩენა ინგლისურ ფილოლოგიაში

**1611 წელს ინგლისში სამეფო დასისთვის ლიცენზირებული იქნა ფრენსის ბომონტისა და ჯონ ფლეტჩერის პიესა „მეფე და არა მეფე“, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა წილად და ასი წლის მანძილზე იდგმებოდა. თანამედროვენი ბომონტისა და ფლეტჩერის დრამატურგიას, და მათ შორის „მეფე და არა მეფეს“, შექსპირის შემოქმედების დონეზე აყენებდნენ.**

თხზულების თანახმად მოქმედება მიმდინარეობს იბერიაში. ბომონტისა და ფლეტჩერის პიესის იბერია რომ საქართველოს გულისხმობს, ისევე როგორც მათი წინამორბედის ფილიპ სიდნეის „არკადიის“ იბერია, ამაში ეჭვი არავის ეპარება. ამის უეჭველ საბუთად ისიც კმარა, რომ „მეფე და არა მეფის“ მთავარი პერსონაჟი იბერიის ახალგაზრდა მეფე ამარცხებს მეზობელი ქვეყნის არმენიის მეფეს, ტყვედ მოჰყავს იგი იბერიის სამეფო კარზე, სადაც გაიშლება პიესის შემდგომი მოქმედება. ამგვარად, იბერიასა და არმენიაში საქართველო და სომხეთი მოიაზრება.

რატომ გაითამაშეს ბომონტმა და ფლეტჩერმა თავიანთი თხზულების ამბავი იბერიაში? რა კავშირი აქვს ამ პიესაში მოთხრობილ სიყვარულის არაორდინარულ ამბავს საქართველოსთან?

ფაქტია, რომ ოთხასი წლის მანძილზე ამ საკითხთან მიმართებაში კვლევა არავის უწარმოებია, თუმც მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში „ქართული შექსპირიანა“ უკვე მოიცავს ნ. ორლოვსკაიას სტატიას, სადაც აღნიშნულია, რომ ამ პიესის მოქმედება იბერიაში ხდება.

ინგლისურ ტრაგიკომედიაში ქართული რეალიების არსებობით დაინტერესდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ცნობილი რუსთველოლოგი ელგუჯა ხინთიბიძე. თანამიმდევრულმა და გულმოდგინე კვლევამ ქართველი მეცნიერი მნიშვნელოვან აღმოჩენამდე მიიყვანა: ბომონტისა და ფლეტჩერის პიესებში „მეფე და არა მეფე“ და „ფილასტერი“ ყველაზე დიდი ქართული ლიტერატურული ძეგლის ვეფხისტყაოსნის მძლავრი გავლენა ამოიკითხება.

ქართველმა მეცნიერმა კვლევის შედეგები ქართულ და ინგლისურ ენებზე ერთ წიგნში მოაქცია. ეს გახლავთ „ვეფხისტყაოსანი შექსპირის ეპოქის ინგლისში“ (მივიწყებული წარსულის საიდუმლოძ, რომელიც ახლახან დაისტამბა თბილისში (რეცენზენტი არიანე ჭანტურიაძ.

მონოგრაფიაში გამოთქმული სრულიად ახალი აზრი შემდეგ არგუმენტებს ეყრდნობა:

„მეფე და არა მეფის“ სიუჟეტის ძირითადი ხაზი – პრინცისა (მეფისაძ და პრინცესას სასიყვარულო ინტრიგა საწყის იმპულსს იღებს ტარიელისა და ნესტანის სიყვარულის ისტორიიდან. თითქოს ავტორებმა გადაამუშავეს და საკუთარი შემოქმედებითი პრინციპებით გარდაქმნეს „ვეფხისტყაოსნის“ ინდოეთის სიუჟეტური ხაზიდან მომდინარე ძირითადი ქარგა.

ბომონტისა და ფლეტჩერის თხზულების რომანტიკული ინტრიგის სიუჟეტური ფაქტები, დროული და სივრცული კოორდინატები, ანუ კარკასი „ვეფხისტყაოსნისეული“ ინდოეთის ამბავს ემთხვევა: პიესისეული იბერიის პრინცი (ახალგაზრდა მეფეძ, სახელად არბასესი, სინამდვილეში არაა მეფისა და დედოფლის შვილი, იგი შვილადაა აყვანილი იმ მიზნით, რომ სამეფოს მემკვიდრე ჰყოლოდა. მეფეს და დედოფალს ნამდვილი შვილი, ქალიშვილი, სახელად პანთეა, მოგვიანებით შეეძინათ. იბერიის სამეფოს მემკვიდრედ აყვანილ ვაჟიშვილს, პრინცს, და ჭეშმარიტ პრინცესას ერთმანეთი თავდავიწყებით შეუყვარდათ. ეს სამივე წამყვანი სიუჟეტური ფაქტი, დროული და სივრცული კოორდინატი ზუსტად ემთხვევა „ვეფხისტყაოსნისეული– ინდოეთის სამეფოს კარის დრამატული ისტორიის სამ საყრდენ სიუჟეტურ ფაქტს.

როგორც პროფესორ ელგუჯა ხინთიბიძის კვლევა ადასტურებს, ინგლისური პიესის იბერიის სამეფო კარზე უფლისწულ არბასესის შვილად აყვანიდან პრინცესას დაბადებამდე იმდენივე დრო გადის, რამდენიც ინდოეთის სამეფო კარზე უფლისწულ ტარიელის შვილად აყვანიდან ნესტანის დაბადებამდე. და რაც უფრო არსებითია, ორივე თხზულებაში ამ დროის ხანგრძლივობაზე მითითებულია, და თანაც ორივეში ერთნაირად.

იბერიის პრინცი და პრინცესა ჯერ კიდევ ბავშვობის ასაკში განაცალკევეს და, ისევე, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ ინდოეთში ტარიელმა და ნესტანმა მხოლოდ დიდი ხნის დაშორების შემდეგ ნახეს ერთმანეთი. როგორც „ვეფხისტყაოსნის“, ასევე ინგლისური პიესის დრამატული კვანძი აქ გაინასკვა: ტარიელს უზომოდ შეუყვარდა ნესტანი. ასევე ხდება ბომონტისა და ფლეტჩერის პიესაში. იბერიის მომავალი მეფე უნუგეშოდ მოიხიბლა პრინცესას ხილვით – ტრაგიკული კვანძი შეიკრა.

მსგავსება უფრო ღრმად მიდის. უეცარი სიყვარულის სწრაფ და უზომო ემოციას იბერიის პრინცის ფიზიკური დაძაბუნება და გონების არევა მოჰყვა, რასაც დეტალურად აღწერენ ბომონტი და ფლეტჩერი: მას თითქოს მეტყველების ძალაც წაერთვაო.

ასევე ხდება „ვეფხისტყაოსანში“. სიყვარულის სწრაფმა ემოციამ ტარიელი ფიზიკურად დააძაბუნა და გონება დაუკარგა.

ქართველი მკვლევარი საკითხს ასე აყენებს: თუ ბომონტი და ფლეტჩერი რუსთველის „ვეფხისტყაოსანს“ მართლაც ასე ღრმად იცნობენ და იყენებენ, თანაც მათი შემოქმედების სწორედ პირველი მომწიფების ეტაპზე, სავარაუდოა, რომ ამ ნაწარმოების კვალი გამოჩენილიყო არა მხოლოდ ერთ პიესაში, არამედ სხვა შემთხვევაშიც. შედეგი დადებითია და კვლავ სრულიად ახალი ინგლისური ლიტერატურული კრიტიკისათვის. ვეფხისტყაოსანი არის ერთ-ერთი არსებითი სიუჟეტური წყარო ბომონტისა და ფლეტჩერის კიდევ ერთი პიესისა. ესაა ფილასტერი.

„ფილასტერი,“ მკვლევართა ვარაუდით, 1608-1610 წლებშია დაწერილი.

„ფილასტერისა“ და „მეფე და არა მეფის“ ძირითადი სიუჟეტური ქარგის საერთო მახასიათებელი ინგლისურმა ლიტერატურულმა კრიტიკამ იმთავითვე შენიშნა, კერძოდ, ამბავი ხდება უცხო ქვეყნებში და იგი მელოდრამული ხასიათისაა. ჰეროიკული სულისკვეთების მთავარი გმირები რომანტიკული თავგადასავლების არეალში მოქმედებენ.

ყველა ეს საერთო მახასიათებელი „ფილასტერსა“ და „მეფე და არა მეფეს“ აკავშირებს მათ საერთო სიუჟეტურ წყაროსთან. ესაა „ვეფხისტყაოსნის“ ინდოეთის სამეფო კარზე გათამაშებული ფსევდოისტორიული ამბავი ნესტანისა და ტარიელის სიყვარულისა.

მკვლევარის წინაშე ისმის კითხვა: რა გზით მოექცა რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“ ინგლისელი დრამატურგების ინტერესთა წრეში. აი რას წერს ამის თაობაზე ბატონი ელგუჯა ხინთიბიძე:

„როცა რუსთველის პოემის XVII საუკუნის დასაწყისის ინგლისში შეღწევაზე ვფიქრობდი, მე შევეცადე მიმეთითებინა იმ გზაზე, რომლითაც შეიძლებოდა იმ პერიოდში ქართული მწერლობა ევროპაში გასულიყო და მივუთითე ქართული სამეფო კარის კონტაქტებზე ესპანეთის სამეფო კართან XV და XVI საუკუნეებში. ამჯერად მე ვფიქრობ, რომ ამ შესაძლებლობას შეიძლება დაემატოს უფრო შემთხვევითი გზები. კერძოდ, ქართველი კონსულტანტი, რომელიც (ან რომლის ნაამბობიცძ რაღაც მისიით (თუ შემთხვევითძ შეიძლებოდა აღმოჩენილიყო ინგლისში.“

მკვლევარი იმასაც დასძენს, რომ „XVI და XVII საუკუნეების ევროპელ დიპლომატებს, მოგზაურებს, ვაჭრებს და აღმოსავლეთით დაინტერესებულ ინტელექტუალურ წრეებს ხშირი და მჭიდრო კონტაქტი აქვთ სპარსეთისა და ოსმალეთის სამეფო კარებთან, სადაც შაჰებისა და სულთნების გარემოცვაში არსებული ქართველი ქალების სიმრავლე ევროპელთა ყურადღებას იქცევს თავისი არა მხოლოდ სილამაზით და ნიჭიერებით, არამედ მათი განუწყვეტელი ფიქრითა და წუხილით სამშობლოზე.“

ჩემი ღრმა რწმენით, რუსთაველის უკვდავი პოემის შესახებ ცოდნის არსებობა დიდ ბრიტანეთში კიდევ უფრო კანონზომიერი გზით განხორციელდებოდა. ეს გახლავთ თავად ბრიტანული სამეფო კარის დამოკიდებულება კონტინენტზე არსებული ინტელექტუალური მიღწევებისადმი. ჰენრი VIII ქალიშვილმა, ტიუდორების დინასტიის თვალსაჩინო მმართველმა, ინგლისის დედოფალმა ელისაბედ I, სამშობლოს აღორძინება ხომ მართლაც ინტელექტით შეძლო, მით უმეტეს რომ მან გვერდში ამოიყენა ისეთი დიდი მოაზროვნე, როგორიც ფრენსის ბეკონი გახლდათ. დედოფლის დიდი თანადგომით ბეკონმა შექმნა კლუბი, რომლის მიზანი იყო უმეცრების დამარცხება შუბის მოქნევით. Sheare Shakers – შუბის მოქნევები – ასეთი იყო ამ კლუბის სახელწოდება და, როგორც დღეს ვარაუდობენ, შექსპირის გვარიც, რაც ნიშნავს მოიქნიე შუბი (Shake spearedძ აქედან უნდა მომდინარეობდეს და პრაქტიკულად ის ფსევდონიმია. „ცოდნა ძალაა“ – ბეკონის ეს სხარტი გამონათქვამი მოაზროვნე ინგლისელთა ცხოვრების დევიზად იქცა. სამეფო კარის დავალებით ინტელექტუალურ ჯაშუშებს ცოდნის მოსაპოვებლად კონტინენტზე აგზავნიდნენ. ამ მისიით ეწვია საფრანგეთსა და იტალიას ცნობილი დრამატურგი კრისტოფერ მარლო, რომელიც იმ ხანად კემბრიჯის უნივერსიტეტსაც კი მოწყვიტეს. ამ მისიით იმოგზაურეს კონტინენტზე ფრენსის ბეკონმა და მისმა ძმამ, ენტონი ბეკონმა. როგორც ჩანს, ცნობილი ინგლისური ტრადიცია, რომ უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, დიდებული ინგლისელი სამოგზაუროდ მიდის, აქედან უნდა მომდინარეობდეს. დღეს ბევრს წერენ შექსპირის ვინაობაზე, მისი ეპოქის თავისებურებაზე. შექსპირის კოდის ამოცნობაც აუცილებლად ელისაბედ I-ის დიდ ჩანაფიქრსა და ბეკონის მოღვაწეობას უკავშირდება. ამ ვითარებაში ძნელი არაა ვივარაუდოთ, რომ ცოდნის წყაროთა ძიებაში ინგლისელები კონტინენტზე „ვეფხისტყაოსანს“ გასცნობოდნენ. საქართველოდან კი ევროპაში ასეთი ცოდნის გავრცელებას, სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ათონის მთაც დიდად შეუწყობდა ხელს.

როგორც ვხედავთ, გზა ბევრი გამოჩნდა, შედეგი კი ერთი და უტყუარია: შექსპირის დროინდელი ეპოქის ორი ტრაგიკომედია რუსთველის გავლენითაა შექმნილი.

ბრიტანელმა და ამერიკელმა სამეცნიერო წრეებმა ქართველი მეცნიერის მიგნებას უკვე დიდი ყურადღება მიაქციეს. მისი კვლევა არაერთგზის აღინიშნა სათანადო დაფინანსებითა და საერთაშორისო სიმპოზიუმებზე მიწვევით.

როგორც თავად ბატონი ელგუჯა ხინთიბიძე აღნიშნავს, ეს ყოველივე მომავალ რუსთველოლოგიურ კვლევას ახალ პერსპექტივას უსახავს.

**ინესა მერაბიშვილი,**
**პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი**

განათლების კრიზისი

# მეცნიერება მეცნიერთა სიბერით კვდება?

## „მკვდარი უნივერსიტეტის“ ჭირისუფალნი

***ალბათ, არც ერთ ქვეყანაში არ გამოუწვევია განათლების რეფორმას ისეთი აჟიოტაჟი, როგორც საქართველოში. ახლებურად აზროვნებამ და „ახალი ადამიანის“ შექმნამ განსაკუთრებით „წითელი ინტელიგენცია“ თუ „ჩარეცხილები“ აღაშფოთა, და ისე აღაშფოთა, რომ საერთოდ ამ სფეროს ჩამოაცილა. სხვა არაფერი ქვია იმას, რომ დედაუნივერსიტეტში ძველი პროფესორები თითქმის არ არიან და სადაც არიან, იქაც მაინცდამაინც ვერაფერ ამინდს ქმნიან. ამინდს „რეფორმების“ თვალსაზრისით, თორემ ინტელექტუალურად და განათლების კუთხით მათი ტოლი „ახალი ადამიანი“ ჯერ ვერ შეიქმნა. აბსოლუტურად, სამწუხაროდ.***

„განათლების კრიზისი საქართველოში“ – ამჯერად კონფერენციის პირველი დღის შედეგს გაგაცნობთ, ხოლო მომდევნო ნომერში სხვა მონაწილეების გამოსვლებსაც შემოგთავაზებთ. ამ თემაზე ორდღიანი კონფერენცია მოეწყო თავისუფალი აზრის სახლში, სადაც უნივერსიტეტების პროფესორებმა, ლექტორებმა საკუთარი ნეგატიური დამოკიდებულება კიდევ ერთხელ გამოხატეს. ყველაზე კრიტიკული იყო მერაბ ჯიბლაძე, რომელმაც არა მხოლოდ უნივერსიტეტების დაბალ დონეზე, არამედ სკოლებში დანგრეულ უსუსურ განათლების სისტემაზე ისაუბრა: **„ჩვენი სკოლების დღევანდელი მდგომარეობა მხოლოდ უარეს მომავალს გვპირდება. საშუალო სკოლა გაუქმდა და იმის ნაცვლად „საჯარო სკოლა“ დაარსდა. ამერიკაშიც არის ასეთი „publik school“, სადაც ასწავლიან მხოლოდ წერა-კითხვას და 80 პროცენტმა მაინც არ იცის. ასეთი დაბალი დონის სასწავლო პროგრამები და უვარგისი სახელმძღვანელოებია ქართულ სკოლებში. შესაბამისად უნივერსიტეტებიც საშუალო სკოლის დონეზე დავიდნენ“.**

მერაბ ჯიბლაძემ აღნიშნა, რომ სკოლებში სხვადასხვა ავტორთა გამოცემული სახელმძღვანელები კი არ უნდა იყოს დაშვებული, არამედ მხოლოდ ერთი, რომელიც ჭეშმარიტად მაღალი შეფასების მიხედვით გაიმარჯვებს. მერაბ ჯიბლაძემ უნივერსიტეტის რექტორ გია ხუბუასთან შეხვედრის ერთი დეტალი გაიხსენა: **„ხუბუამ გვითხრა პრეზიდენტის დავალებით 150 ინჟინერ-ფიზიკოსის მომზადებაა საჭირო და ამისთვის სახელმწიფო თანხას გაიღებსო. ვუთხარი, მილიონიც რომ ჩადოთ, ერთ ინჟინერ-ფიზიკოსს ვერ გავზრდით, რადგან სკოლის პროგრამა ძალიან დაბალი ხარისხისაა-მეთქი. ამიტომაც ვთქვი უარი „მკვდარი უნივერსიტეტის“ პროფესორობაზე.**

**სამწუხაროდ, მეცნიერება მეცნიერთა სიბერით კვდება.**

ფიზიკის სახელმძღვანელო იდიოტების დაწერილია დებილებისთვის. სხვა რა შეიძლება უწოდო იმას, რომ მე-10 კლასელ ბავშვს სახელმძღვანელოში აჩვენო ჩვეულებრივი გაზის ბალონი „კამფორკით“ და ქვეშ მიუწერო „ბუნებრივი აირი“. ტექსტი უნდა დაიზეპიროს, რადგან შინაარსი საერთოდ გაუგებარია“.

საინტერესო იყო ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის პროფესორის დიანა ძიძიგურის გამოსვლა: „განათლების მინისტრმა გვთხოვა, უნივერსიტეტის პროფესორები გავცნობოდით ერთიანი განათლების გეგმას. ეს არის 400-გვერდიანი დოკუმენტი, რომელსაც 109 ავტორი ჰყავს. სამწუხაროდ, ათ დღეში უნდა გაგვეხილა და ჩვენი დასკვნა დაგვედო. ძალიან მოვინდომეთ, გავაანალიზეთ, მოვაწყეთ პრეზენტაცია, მოვიწვიეთ პედაგოგები... აღმოჩნდა, რომ თითქმის თავიდან იყო დასაწერი. შევთავაზეთ, რომ ორ თვეში მოვახდენდით გეგმის კორექტირებას, სრულიად უსასყიდლოდ და უანგაროდ, რაზეც განათლების სამინისტრომ უარი განაცხადა“.

გასაგებია რატომაც.

რეფორმატორებს კარგად ესმით, რომ ახლებური მიდგომა „ძველმოდურებისთვის“ მიუღებელი იქნება. თუმცა რეფორმებით არც თვითონ არიან მაინცდამაინც კმაყოფილები. მეტია გასაკეთებელი, მაგრამ არა იმისთვის, რომ კვლავ „ეროვნულ ყალიბში“ დაბრუნდეს, არამედ იმისთვის, რომ უფრო გლობალური გახდეს და განათლების გზით ჩამოყალიბდეს არა „ბრმა“ პატრიოტი, არამედ თანამედროვე მსოფლიოს სრულყოფილი მოქალაქე.

**სწორედ ეს ორი ფუნდამენტური რამ განასხვავებს ძველსა და ახალ ინტელექტუალებს. მაგალითად, მთელი კონფერენციის მანძილზე იმაზე მიმდინარეობდა ბჭობა, რომ არ შეიძლება ფიზიკოსი ან მათემატიკოსი გახდეს ყველა, რადგან ამას სჭირდება ნიჭი, რომელიც შრომისმოყვარეობით იქნება გაჯერებული. რეფორმატორები კი მიიჩნევენ, რომ ფიზიკოსი შეიძლება გახდეს ნებისმიერი, თუ ბავშვობიდანვე თამაშ-თამაშ ამ სფეროთი დააინტერესებენ აღსაზრდელს. ამიტომაც გახდა ფიზიკა მარტივი.**

**ძველი პროფესურა ამბობს, რომ არ შეიძლება ადამიანი იყოს სტუდენტი, თუკი ის უნივერსიტეტისთვის შესაფერის განათლებას არ ფლობს და არა აქვს საკმარისი ბაზა. მაგრამ რეფორმატორები პირიქით ფიქრობენ: საქართველოში უნდა იყოს ბევრი უნივერსიტეტი და ყველა სკოლადამთავრებული უნდა გახდეს სტუდენტი, იმიტომ, რომ XXI საუკუნის ადამიანი არ შეიძლება იყოს უცოდინარი, სხვაგვარად ის საზოგადოებაში საკუთარი თავის რეალიზაციას ვერ შეძლებს.**

**უკვე წლებია ასეთი არგუმენტებით ერთმანეთს ორი ფრთა უპირისპირდება, მაგრამ ვინ გაიმარჯვებს მამათა და შვილთა შეუბრალებელ ომში, დრო გვიჩვენებს.**

**ნია ფიფია**

ჭიდაობა

# „მჭლე“ სტარტი

**გივი კარტოზიას სახელობის თბილისის სპორტის სასახლეში გრძელდება ახალგაზრდა მოჭიდავეთა ევროპის პირველობა. ქალთა ტურნირი რუსების ტრიუმფით დამთავრდა – რვა წონითი კატეგორიიდან ექვსში ოქროს მედლები მოიპოვეს.**



„კლასიკოს“ ვაჟთა პაექრობის პირველ დღეს ქართველ ფალავანთაგან მხოლოდ ქემალ ხარაბაძემ (55 კგ) მოიპოვა ბრინჯაოს მედალი, არადა, „ოქროს“ ღირსი იყო. პირველ წრეში ხარაბაძემ პოლონელ რადოსლავ ბიერზანოვსკის სძლია, მერე სომეხ ალექსან მიქაელიანი და გერმანელი ლუკაშ ჰოეგლმაიერი დაამარცხა. ნახევარფინალში აზერბაიჯანელ ორხან ახმადოვთან დათმო ორთაბრძოლა: პირველ პერიოდში ახმადოვმა იყოჩაღა – 6:0 მოუგო ჩვენებურს, სამაგიეროდ, მეორე რაუნდში ხარაბაძემ ასეთივე ანგარიშით სძლია მეტოქეს. დამატებით ორწუთიან მონაკვეთში ქართველმა ფალავანმა ბეჭებით კი გააკრა ხალიჩას აზერბაიჯანელი, მაგრამ არბიტრებმა ეს ვერ „შენიშნეს“. საბოლოოდ ახმედოვმა 2:1 გაიმარჯვა, ფინალში გავიდა, სადაც რუსეთელი მურადიზ არშანოვი დაჯაბნა და ოქროს მედალიც დაიმსახურა. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში ხარაბაძემ ფინელ ოჯუკაინენს დააყრევინა ფარხმალი. დანარჩენ წონით კატეგორიებში პაატა ბაკურიძე (6:6), არსენ კახაბრიშვილი (84) და შოთა გოგისვანიძე (120 კვარცხლბეკს მიღმა აღმოჩნდნენ...

პირველობის საზეიმო გახსნისას ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა რაფაელ მარტინეტიმ **ფილას** ოქროს მედლებით დააჯილდოვა ოლიმპიური ჩემპიონები – ვახტანგ ბლაგიძე და დავით გობეჯიშვილი, ოლიმპიური ჩემპიონების – რევაზ მინდორაშვილისა და მანუჩარ კვირკველიას მწვრთნელები მარლენ ოსიყმაშვილი და ბეგი დარჩია. ოსიყმაშვილს სპორტის რაინდის ორდენი და ოქროს სამკერდე ნიშანიც გადაეცა.

**ლექსო ცინცაძე**

ნიჩბოსნობა

# ჯილდოები სტუმრებსაც ერგოთ

**ფოთში დამთავრდა საქართველოს ღია ჩემპიონატი ნიჩბოსნობაში. საასპარეზოდ თავი მოიყარეს თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, მცხეთის, ფოთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის წარმომადგენლებმა. დაძაბული პაექრობების შემდეგ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ:**



ბაიდარებითა და კანოეთი: ნადირაძე (მცხეთა), გელაშვილი-ჩაჩანიძე (რუსთავი), ველიზადე (აზერბაიჯანი), ჯიშკარიანი (ქუთაისი), კუცია (რუსთავი), ბუკია (ფოთი), მალხასიანი-ტევირსიანი (სომხეთი), ჯაფაროვი ( აზერბაიჯანი).

აკადემიურ ნიჩბოსნობაში: გიორგი და ლაშა მოთიაშვილები (მცხეთა), სანიტაშვილი-უკლება (ქუთაისი), ბაღათურია (მცხეთა), ბაიაშვილი-თოფურია (მცხეთა).

შეჯიბრება ფოთის მერიის სპორტის სამსახურის (უფროსი ზურაბ ტიბუაძე) თანადგომით გაიმართა.

ფეხბურთი

# ჩვენზე სუსტებიც ყოფილან

**ნეტავ ვინ ჩაყო ხელი, იმ მადლიანმა, ბურთულებიან „აკვარიუმში“, როცა ევროპის ლიგის (ყოფილი უეფას თასის გათამაშების) პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ქართულ კლუბებს მეტოქეებად მათზე სუსტები არგუნა.**

განსაკუთრებით „ზესტაფონს“ გაუმართლა, რომელმაც ჩრდილოეთ ირლანდიაში პირველივე ტაიმში გამოუყვანა წირვა „ლისბურნს“ – 4:0 (გელაშვილი – 2, გრიგალაშვილი – 2). მას შემდეგ, რაც შეხვედრა განახლდა, აფციაურმა მასპინძლებს მეხუთედ დააწყებინა თამაში მოედნის ცენტრიდან. ყვირილასპირელები იმდენად მოადუნა ასეთმა წარმატებამ, რომ საფინალო სასტვენის წინ ველანს პრესტიჟის გოლის გატანის საშუალება მისცეს 5:1. ასე რომ, საპასუხო რაუნდი ფორმალობად იქცა.

შედარებით გაუჭირდა რუსთავის „ოლიმპს“, თუმცა მეგრელაძის „დუბლით“ დავით ყიფიანის სახელობის ყაზბეგის თასის გათამაშების ფინალისტმა მაინც გატეხა ფარერის კუნძულების „ტორსჰავნის“ შეუპოვარი წინააღმდეგობა – 2:0. ქვემოქართლელთა გამარჯვება მათი კაპიტნის ბაბუნაშვილის უდისციპლინობამ გააუფერულა, რომელიც ბოლო წუთზე ყაზახმა მსაჯმა მინდვრიდან გააძევა.

**დანარჩენი მატჩები ასე დასრულდა:**

„ბანანცი“ – „შიროკი ბრიეგი“ 0:2, „დინაბურგი“ – „კალიუ“ 2:1, „სიმურგი“ – „ბნეი იეჰუდა“ 0:1, „ლახტი“ – „დინამო“ (ტირანა) 4:1, „ნარვა“ – „რუდარი“ 0:3, „სუტიესკა“ – მტზ რიპო 1:1, „ვალეტა“ – „კეფლავიკი“ 3:0, „ზიმბრუ“ – „ოქჟეტპესი“ 1;2, „ანორთოსისი“ – „კირიენგი“ 5:0, „გრევენმახერი“ – „ვეტრა“ 0:3, „დინამო“ (მინსკი) – „რენოვა“ 2:1, „ბუდუჩნოსტი“ – „პოლონია“ 0:2, „ჰალადაში“ – „ირტიში“ 1:0, „მოზერუელი“ – „ლანელი“ 0:1, „რანდერსი“ – „ლინფილდი“ 4:0, „რუნავიკი“ – „რუსენბორგი“ 0:3, „სლავენი“ – „ბირკირკარა“ 1:0, „სლიგო“ – „ვლაჟნია“ 1:2, „ტრნავა“ – „ინტერი“ (ბაქო) 2:1, „ჰელსინგბორგი“ – „მიკა“ 3:1, „ფრამი“ – ტნს 2:1.

* * *

**გაირკვა ლიბერტადორესის (ევროპის ჩემპიონთა ლიგის ანალოგი) თასის გათამაშების ფინალისტთა ვინაობა.** სამხრეთ ამერიკის უძლიერესი კლუბი არგენტინის „ესტუდიანტესისა“ და ბრაზილიის „კრუზეიროს“ ორმატჩიან დუელში გამოვლინდება. ისინი საპატიო ჯილდოს, შესაბამისად, სამგზისა და ორგზის მფლობელნი არიან, წლევანდელი ტურნირი კი საიუბილეო – ორმოცდამეათეა. პრინციპულ მეტოქეთა პირველი მატჩი ლაპლატაში 8 ივლისს გაიმართება, ხოლო საპასუხო დუელი 15 ივლისს ბელუ-ორიზონტიში არის დანიშნული.

ნახევარფინალში „ესტუდიანტესს“ ცხარე ბრძოლა გაუმართა დიდ წარატებას დანატრებულმა ურუგვაის „ნასიონალმა“, რომელიც პრესტიჟულ პრიზს უკანასკნელად 20 წლის წინათ დაეუფლა. სტუმრად პირველი მატჩის მინიმალური სხვაობით წაგება – 0:1 მონტევიდეოელებს სარევანშოდ ჩინებულ შანსს უტოვებდა, მაგრამ ტურნირის ბომბარდირის ბოუსელის (მას უკვე 7 გოლი აქვს გატანილი) „დუბლმა“ არგენტინელებს მეორე გამარჯვება მოუტანა – 2:1.

რაც შეეხება „კრუზეიროს“, მან პაულისტას ძალისხმევით ბრაზილიური ჯახი „გრემიოს“ მოუგო – 3:1, 2:2. აღსანიშნავია, რომ ფინალისტი საშინლად ატარებს ეროვნული ჩემპიონატის გასვლით შეხვედრებს, კონტინენტურ სარბიელზე კი, პირიქით, ყველას სისხლს უშრობს – 8 გამარჯვება, 1 ფრე და მხოლოდ 1 დამარცხება.

**გიორგი შოთაძე**

ოლიმპიზმი

# სოჭს ახალი კაცი ააშენებს

**როგორც ცნობილი გახდა, სახელმწიფო კორპორაციას „ოლიმპსტროის“ – 2014 წლისთვის სოჭის მომზადების ძირითადი სამუშაოების გენერალურ მოიჯარეს – სათავეში ჩაუდგა ახალი პრეზიდენტი – ლუდსახარში კომპანიის „ბალტიკას“ დამფუძნებელი, 56 წლის თეიმურაზ ბოლოევი. მან ამ პოსტზე შეცვალა სოჭის ყოფილი მერი ვიქტორ კოლოდიაჟნი.**



ჯერჯერობით გაუგებარია, თუ რისი გაკეთება შეუძლია ამ პოსტზე ისეთ გამოცდილ ბიზნესმენსაც კი იმ პიროებებში, როდესაც კრიზისთან დაკავშირებით ოლიმპიადის ბიუჯეტი შეიკვეცა 22,7 მილიარდი რუბლით. 2009-2010 წლებისთვის სახელმწიფო დაფინანსება შეწყდა, სამუშაო უამრავია, ჩამორჩენა კი მთელ გრაფიკშია. ობიექტები კი, სხვათა შორის, უნდა ჩაბარდეს არა 2014 წლისათვის, რაც ცხრა მთას იქით როდია, არამედ 2012 წლისათვის.

ორ წელზე ნაკლებ დროში „ოლიმპსტროიში“ შეიცვალა სამი ხელმძღვანელი: პირველად ნებაყოფლობით და მიზეზების განუმარტებლად მართვის სადავეები დატოვა ძალზე გამოცდილმა სემიონ ვაინშტოკმა, შემდეგ არა თავისი ნებით, მაგრამ ისევ მიზეზების აუხსნელად შვებულებიდან აღარ დაბრუნდა ბატონი კოლოდიაჟნი.

ინტერნეტიდან

## რონალდო – ბრაზილიის თასის მფლობელი



**თავისი ქვეყნის თასის მფლობელი „კორინტიანსის“ შემადგენლობაში გახდა ბრაზილიელი თავდამსხმელი რონალდო. „ინტერნასიონალთან“ საპასუხო გასვლით მატჩში მისმა გუნდმა ფრეს მიაღწია (2:2) და ორი შეხვედრის ჯამით თასი მოიპოვა.** პირველ მატჩში „კორინტიანსმა“ გაიმარჯვა 2:0 და ერთი გოლი სწორედ რონალდომ გაიტანა. მატჩის დროს ორივე გუნდიდან თითო მოთამაშე გააძევეს, ამას გარდა მსაჯმა მწვრთნელთა სკამები დაატოვებინა ორივე გუნდის დამრიგებლებს.

ეს თასი „კორინტიანსის“ ისტორიაში მესამეა. ადრე ამ ტურნირში 1995 და 2002 წელს გაიმარჯვა. რონალდო, მუხლის მძიმე ტრავმის გამო თითქმის წელიწადზე მეტი „შესვენების“ შემდეგ, ამ გუნდში 2009 წლის მარტში მივიდა. და უკვე ორივე ტურნირში გაიმარჯვა – სან-პაულუს შტატის ჩემპიონატსა და ბრაზილიის თასზე.

## რა დროს „ბავშვის“ ბავშვია

**– ჯერ მზად არა ვარ, დედა რომ გავხდე, – განაცხადა პოპულარულმა იტალიელმა მოდელმა, საჯიბინო „რენოს“ პატრონის ფლავიო ბრიატორეს მეუღლემ ელისაბედ გრეგორაჩიმ. სანამ თავის დიდ სიყვარულთან, ერთად დასასვენებლად სარდინიაში გაემგზავრებოდა, 29 წლის ლამაზმანმა განაცხადა:**

„აბა, შემომხედეთ! ჯერ კიდევ ბავშვი ვარ! ჯერჯერობით მზად არა ვარ, თავი გავწირო დედობისთვის.“

თავად ბრიატორემ ტოპ-მოდელი ჰაიდი კლუმთან ხუთი წლის გოგონა რომ ჰყავს, თქვა: „მინდა, ერთხელ კიდევ გავხდე მამა, ვიცი, რომ ელისაბედი დიდებული დედა იქნება. მას ხომ ბავშვები უყვარს!“



ფლავიო და ელიზა ავადმყოფობამ დააახლოვა. თავის დროზე ბრიატორემ კიბო დაამარცხა. „ხანგრძლივმა ავადყოფობამ ძალზე დაგვაახლოვა. დღისითაცდაღამითაც მის გვერდით ვიყავი და ჩვენ მივხვდით, რომ ერთმანეთის გარეშე აღარ შეგვიძლია“, – თქვა გრიგორაჩიმ.

საქმე 2-6 ფორმა №2-9

## განჩინება

საქართველოს სახელით

### ხარვეზის დადგენის შესახებ

6 აპრილი 2009 წელი დ. ლენტეხი

**ლენტეხის რაიონული სასამართლოს**

**მოსამართლე ნანა ჯანხოთელმა**

**მოსარჩელე: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო**

**მოპასუხა: ვახტანგ მაღლაკელიძე**

**ზეპირი მოსმენის გარეშე განვიხილე დავალიანების ამოღების შესახებ**

**განაცხადის წარმოებისათვის დასაშვებობის საკითხი და**

**გამოვარკვიე:**

სასამართლო გაეცნო განცხადებას, თანდართულ მასალებს და მიაჩნია, რომ იგი არ პასუხობს საქართველოს სამოქალაქო საპროცსო კოდექსის 302-ე მუხლის მოთხოვნებს. კერძოდ, მოპასუხე მხარის ადგილსამყოფელი დაუდგენელია.

სასამართლო თვლის, რომ გადახდის ბრძანება ვერ აღსრულდება, თუ არ არის ცნობილი მოპასუხის ადგილსამყოფელი, რის გამოც არსებობს იმის აუცილებლობა, რომ გადახდის ბრძანება (განცხადება) ეცნობოს მოპასუხეს საჯარო განაცხადების გზით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, დავალიანების გადახევინების შესახებ საქმის განხილვის გამარტივებული წესი არ დაიშვება, თუ ბრძანება დავალიანების გადახდევინების შესახებ მხარეს უნდა ეცნობოს საჯარო (ოფიციალური) გამოცხადების გზით.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 302-ე, 305-ე მუხლებით და

**დაადგინა:**

1. განმცხადებელმა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, ხარვეზის შევსების მიზნით ბრძანება დავალიანების გადახდევინების შესახებ მხარეს ეცნობოს საჯარო (ოფიციალური) გამოცხადების გზით.

2. ხარვეზის აღმოსაფხვრელად განესაზღვროს 10 (ათი) დღე განჩინების ასლის ჩაბარების დღიდან.

3. განემარტოს განმცხადებელს, რომ თუ სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში არ შეავსებს ხარვეზს, სასამართლო უარს ეტყვის მას დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადების მიღებაზე.

4. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანას არ დაიშვება.

**მოსამართლე (ნანა ჯანხოთელი)**

**ასლი სწორია დედანთან**

◎ „არგუმენტი ი ფაქტი“-დან

## დამატება სსრ კავშირისგან

**გვპირდებიან პენსიის დამატებას საბჭოთა პერიოდის სტაჟისთვის. როგორს? თუ მე ვაგრძელებდი მუშაობას სსრ კავშირის დაშლის შემდეგაც, ეს მე შემეხება?**

**ა.პონომარიოვი, ტულა**

**უპასუხებს რუსეთის ფედერაციის საპენსიო ფონდის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ლიდია ჩიჟიკი:**

— 2010 წელს ათი პროცენტით გაეზრდებათ პენსიის სადაზღვევო ნაწილი მათ, ვისაც ჰქონდა შრომითი სტაჟი 2002 წლამდე. მათ კი, ვინც მუშაობდა საბჭოთა პერიოდში, ესე იგი 1991 წლამდე, პენსიები გაეზრდებათ: სტაჟის თითოეული წლისთვის — ერთი პროცენტით. გადაანგარიშება გაკეთდება საერთო სტაჟის გათვალისწინებით, სპეციალურის გაუთვალისწინებლად (ვინც მუშაობს მავნე პირობების საწარმოებშიძ. ესე იგი, თუ კაცი გავიდა პენსიაში 1998 წელს, იმუშავა 40 წელი, მისი პენსიის სადაზღვევო ნაწილი გაიზრდება 43 პროცენტით. მათგან 10 პროცენტი — იმისთვის, რომ პენსიაში გავიდა 2002 წლამდე, 33 პროცენტი — დანამატი 33 წლის სტაჟის გამო 1991 წლამდე. ეს წესები არ ვრცელდება სადაზღვევო პენსიის მხოლოდ იმ ნაწილზე, რომლებიც მათ გამოიმუშავეს 2002 წლის 1 იანვრის შემდეგ. საპენსიო უფლებების გადაფასების შესახებ კანონმა უკვე გაიარა პირველი წაკითხვა სახელმწიფო დუმაში.

## ომი საქართველოსთან:

ამბობენ, რომ სწავლება რუსეთის სამხრეთში მიგვიყვანს საქართველოსთან ახალ ომამდე. **„არგუმენტი ი ფაქტის“ კომენტარები:** „საქართველომ ჯერ ვერ აღიდგინა სამხედრო პოტენციალი. ვარაუდი იმაზე, რომ მას მხარს დაუჭერს ნატო, საფუძველს მოკლებულია, — განუცხადა გაზეთს ანატოლი ციგანოკმა, სამხედრო პროგნოზირების ცენტრის ხელმძღვანელმა. — არ არის ახალი ომი საჭირო სოჭის ოლიმპიადის წინ რუსეთისთვისაც: სამხრეთი ოსეთი და აფხაზეთი ისედაც უკვე ჩვენს „ფრთებქვეშ“ არიან.

## რა მოხდება

**4 ივლისი**
**მონტე-კარლოში გაიხსნება ველორბოლა „ტურ დე ფრანსი“.**
**5 ივლისი**
**ლონდონში გაიმართება უიმბლდონის საჩოგბურთო ტურნირის ფინალური მატჩი მამაკაცებს შორის.**
**6 ივლისი**
**რუსეთს ეწვევა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ბარაკ ობამა.**
**8 ივლისი**
**იტალიაში გაიხსნება „დიდი რვიანის“ სამიტი. მასში „დიდი რვიანის“ ქვეყნების ლიდერების გარდა მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე ინდოეთის, მექსიკის, ეგვიპტის, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის, ბრაზილიისა და ჩინეთის ხელმძღვანელები.**

* * *

**მოსკოვში აღნიშნავენ ოჯახის, სიყვარულისა და ერთგულების დღეს**
**სანქტ-პეტერბურგში სტარტს აიღებს საერთაშორისო ტურნირი კრივში ქალთა შორის.**

## აუქციონი

**მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს აუქციონს მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ავტომანქანაზე**

**მცხეთის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ა/მანქანა: „ფოლკსვაგენ-გოლფი“ — ავტომანქანის გამოშვების თარიღი — 1992 წელი, პასპორტის სერია №0008775, სახელმწიფო №□QIO♯-755;**

**საწყისი გასაყიდი ფასია: — 4217 (ოთხი ათას ორასჩვიდმეტი) ლარი**

**აუქციონის ბიჯი შეადგენს საწყისი გასაყიდი ფასის — 5%-ს**
**აუქციონის მონაწილის ბილეთის ფასი შეადგენს - 50 ლარს**
**აუქციონის „ბე“ შეადგენს საწყისი გასაყიდი ფასის 5 %-ს.**

აუქციონი ჩატარდება გამოცხადების დღიდან ოცდამეათე კალენდარულ დღეს, დღის 12 საათზე მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში, მისამართი: ქ. მცხეთა, დ. აღმაშენებლის ქ. №73. აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება იწყება გაზეთში გამოქვეყნების დღიდან და გრძელდება 30-ე კალენდარული დღის 12 საათამდე. თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადებების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს იმავე საათზე.

ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგ, ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს წინასწარ გაეცნოს აუქციონით გამოცხადებულ გასაყიდ ქონებას.

აუქციონში მონაწილეობის მიღებისათვის, საჭიროა ფიზიკურმა პირმა პირადობის მოწმობასთან ერთად წარმოადგინოს „ბე“-ს და ბილეთის გადახდის ქვითარი, ხოლო იურიდიულმა პირმა მასთან ერთად სადამფუძნებლო დოკუმენტაცია. თუ წარმოდგენილი დოკუმენტაცია დააკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, მყიდველი მიიღებს მონაწილის ბილეთს და მხოლოდ ამის შემდეგ მიენიჭება მონაწილის სტატუსი..

„ბე“-ს და ბილეთის საფასურის გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე: მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, საიდ. კოდი 236094196 ანგ. №33030024 სახალხო ბანკი, ბანკის კოდი 220101415

**მისამართი და საკონტაქტო ტელეფონებია: ქ.მცხეთა, დ. აღმაშენებლის ქ.№73. ტელ 8(27-32) 51-27-27: 899 22-65-33, 899 34-50-85.**

**მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა.**

ხელოვნება

## გივი გაჩეჩილაძე

ქართულმა მუსიკალურმა და თეატრალურმა ხელოვნებამ მძიმე დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა ცნობილი საოპერო რეჟისორი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი გივი შალვას ძე გაჩეჩილაძე.



გ. გაჩეჩილაძე დაიბადა 1922 წ. ზესტაფონის რაიონში. 1950 წ. დაამთავრა თბილისის კონსერვატორიის ვოკალური განყოფილება, ხოლო 1954 წ. — საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო განყოფილება. ამ დროიდან იწყება მისი ნაყოფიერი შემოქმედებითი და პედაგოგიური მოღვაწეობა. თავდაპირველად იგი წლების მანძილზე მუშაობდა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში, სადაც განახორციელა მთელი რიგი საინტერესო დადგმები და ნაყოფიერი შემოქმედებითი ურთიერთობა ჰქონდა ქართული საოპერო ხელოვნების გამოჩენილ წარმომადგენლებთან. პარალელურად ბატონი გივი მუშაობდა რეჟისორად საქართველოს რადიო-ტელევიზიის მუსიკალურ რედაქციაში, სადაც მოამზადა არაერთი საოპერო დადგმა და მრავალი შინაარსიანი გადაცემა ქართული მუსიკალური ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეების შესახებ. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო ქუთაისის საოპერო თეატრის დაარსებაში (1969ძ, რომელიც გაიხსნა მის მიერ დადგმული ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერით“.

განსაკუთრებით ნაყოფიერი და შედეგიანი გამოდგა გ. გაჩეჩილაძის ნახევარსაუკუნოვანი მოღვაწეობა თბილისის კონსერვატორიის საოპერო მომზადების კათედრაზე, სადაც მას მიჰყავდა სცენური ოსტატობის კურსი, ეწეოდა პედაგოგიურ მუშაობას სტუდენტ-ვოკალისტებთან და, რაც მთავარია, გახლდათ კონსერვატორიის საოპერო სტუდიის მრავალზე მრავალი სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორი. ამ მხრივ, მისი ღვაწლის გადაფასება ჭეშმარიტად შეუძლებელია და სავსებით სამართლიანი იყო ის მაღალი პროფესიული და პიროვნული ავტორიტეტი, რომლითაც ბატონი გივი სარგებლობდა მთელი კონსერვატორიის შემოქმედებით კოლექტივში.

რამდენიმე წლის წინათ კონსერვატორიაში დიდი პატივისცემითა და ძალზე გულითადად აღინიშნა ქართული მუსიკალური და თეატრალური ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწის ცხოვრების საიუბილეო თარიღი (დაბადების 85 წლისთავიძ.

ჩვენს მეხსიერებაში სამუდამოდ დარჩება ბატონი გივი გაჩეჩილაძის ნათელი სახე.

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის
სახელმწიფო კონსერვატორია;
კონსერვატორიის საოპერო მომზადების
მიმართულება

◎ ინფორმაცია

## „სახალხო ბანკის“ მეანაბრემ ბინა მოიგო

**„სახალხო ბანკმა“ ანაბრების აქციის რიგით მესამე გათამაშებაში გამარჯვებულ ქეთევან კახიშვილს სუპერპრიზი — თბილისში მცხეთის ქუჩაზე მდებარე ბინა გადასცა.**

— არასოდეს მეგონა, თუ ცხოვრებაში ხდებოდა ასეთი სასწაულები. „სახალხო ბანკმა“ ამისრულა ზუსტად ის ოცნება, რაც მქონდა. უზომოდ მიხარია და ემოციისგან დაცლილი ვარ. მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. მიუხედავად იმისა, რომ სამსახურებრივად თითქმის ყველა ბანკთან მაქვს ურთიერთობა, ანაბრის გასახსნელად ავირჩიე სწორედ „სახალხო ბანკი“ და როგორც ხედავთ, მან გაამართლა ჩემი იმედები და ნდობა. დიდი მადლობა „სახალხო ბანკს“, ეს იყო წარმოუდგენლად დიდი სიურპრიზი ჩემთვის, — განაცხადა ქეთევან კახიშვილმა.

ჯი-ეიჩ-ენი

გიორგი და მევლუდ დუნდუები ოჯახებით ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობენ ცომაიებს უახლოესი ადამიანების ტრაგიკულად დაღუპვის გამო და სამძიმარს უცხადებენ დაღუპულთა ოჯახის წევრებსა და ახლო ნათესავებს.

---

მარინა კანდელაკი მწუხარებით თანაუგრძნობს ნინო და დათო ხუჭუებს უახლოესი ადამიანების ტრაგიკულად გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს დაღუპულთა ოჯახის წევრებსა და ახლო ნათესავებს.

---

აფხაზეთის მთავრობა და აფხაზეთის უმაღლესი საბჭო იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის მთავრობის ყოფილი თავმჯდომარის ბაბუა

ჯოტო აკიშბაია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს უზენაესი სასამართლო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა უზენაესი სასამართლოს ყოფილი თანამშრომელი, საფინანსო-სამეურნეო განყოფილების უფროსი, ბატონი

ტატაჩი (ტატოძ ალანია

უზენაეს სასამართლოში მოღვაწეობის 27 წლის მანძილზე იგი უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა დაკისრებულ მოვალეობას, გამოირჩეოდა პროფესიონალიზმით. პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე ყოველთვის სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლო თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
გ. ახვლედიანის ქ. №19.
99-62-77; 899 32-85-76.

## განცხადება

**შპს „მირიანის საბროილერო მეფრინველეობის ფაბრიკის“ ქონების (გაკოტრების მასის ნარჩენის) აუქციონის ფორმით გაყიდვის შესახებ**

**შპს „მირიანის საბროილერო მეფრინველეობის ფაბრიკის“ გაკოტრების მმართველი აცხადებს მეექვსე აუქციონს შპს-ს ქონების (გაკოტრების მასის ნარჩენისძ გასაყიდად.**

აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იქნება შპს-ს ბალანსზე რიცხული, კასპის რაიონის სოფელ ქვემო ხანდაკში მდებარე დამხმარე მეურნეობის ქონება;

14 714,00 კვ.მეტრ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე განთავსებული მანქანა-იარაღების საწყობი, ექსპლუატაციაში 1963 წელს; ადმინისტრაციული შენობა, ექსპლუატაციაშია 1967 წელს; ფინური სახლი (კოტეჯიძ, ექსპლუატაციაშია 1950 წელს; ქვაღორღის ღობე; 264 ძირი წიწვოვანი და ფოთლოვანი მრავალწლიანი ნარგავი.

ქონების საწყისი გასაყიდი ფასია 27 100 ლარი.

„ბე“ განისაზღვრება საწყისი გასაყიდი ფასის 10 პროცენტის ოდენობით.

ანგარიშსწორების ანგარიში:

სს „საქართველოს სახალხო ბანკის კასპის ფილიალი, კოდი 220101478, შპს „მირიანის საბროილერო მეფრინველეობის ფაბრიკის“ გაკოტრების მმართველის სააუქციონო ანგარიში №36020140.

აუქციონი ჩატარდება ქ. კასპში, დ. აღმაშენებლის ქ. №2-ში, 2009 წლის 20 ივლისს, 12 საათზე.

აუქციონში მონაწილეობის მსურველები რეგისტრაციისათვის წარმოადგენენ:

1. განცხადებას აუქციონში მონაწილეობის შესახებ;
2. „ბე“-ს შეტანის დამადასტურებელ საბანკო ქვითარს;
3. პირადობის მოწმობის ასლი;
4. ნოტარიულად დამოწმებულ მინდობილობას, თუ პირი მოქმედებს სხვისი სახელით;
5. იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტების ნოტარიულად დამოწმებულ ასლებს და მმართველი ორგანოს გადაწყვეტილებას აუქციონში მონაწილეობის შესახებ.

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის გადახდა.

დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მოგვმართეთ მისამართზე: ქ. კასპი, დ. აღმაშენებლის ქ.№2, საკონტაქტო ტელ: 893 399 911, გაკოტრების მმართველი გიორგი მერებაშვილი.

**გაკოტრების მმართველი**

**გიორგი მერებაშვილი**

## სულაც არ მეხუმრება

# ნაკვესური

გასწყვეტია ჩონგურს სიმი,
ჰანგი შეუცვლია ხვნეშად,
დროზე თუ არ მივეშველეთ,
გამოდგება მხოლოდ შეშად.

* * *

ძიძგი-ძიძგი მამალოთი,
საქმე მიდგა ყუაზე,
ვხედავთ, როგორ
იხლიჩება
საქართველო შუაზე.

* * *

დღევანდელი სასამართლო
მყარად გვიდგას გვერდში:
ქათმის საქმეზე წავედი
ინდაურით ხელში.

* * *

დაჰკა, დაჰკა, დაირასა,
არა ძმას და დაიასა!

* * *

ამის შეგნება ნეტავ რა
გახდა —
„რაც რამე წახდა, სოფელს
გადახდა!“

* * *

უნდა ვიყარო ჯავრი
რუსებზე,
„ვოდკას“ არ დავლევ
ნაბახუსევზე!

* * *

ქვეყანას არ ეშველება,
სულები თუ არ დაგვითბა,
„ერთმანეთისა ბაძვითა,
სახლი აივსო ნაგვითა“.

* * *

ამბობენ ბაზალეთის ტბა
უცხოს მისცესო, სხვისია...
ის მაინც გამაგებინეთ —
ოქროს აკვანიც მისია?!

გურამ გომართელი

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის ახალი მისამართია: გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. №19. ტელ: 99-62-77.

## ჯანმრთელობა

## გამოუძინებლობა წნევას ამაღლებს

**ძილის უკმარისობა საშუალო ასაკის ადამიანისთვის, შესაძლოა, გახდეს მაღალი არტერიული წნევის მიზეზი — ამტკიცებენ ჩიკაგოს უნივერსიტეტის სწავლულები. ეს რომ დაემტკიცებინათ, მეცნიერებმა ჯანმრთელობისა და ძილის ხანგრძლივობის შესახებ გამოკითხეს 40 წლის 578 ადამიანი.**

გამოირკვა, რომ ძილის ხანგრძლივობის ერთი საათით შემცირებას მივყავართ 37 პროცენტით წნევის აწევისკენ. მკვლევარები დარწმუნებულნი არიან, რომ რისკის ახალი ფაქტორის გამოვლენა დაეხმარებათ ჰიპერტონიის პროფილაქტიკის პროგრამის შემუშავებაში.

## თუ წნევა გაწუხებთ



**ბევრ ჩვენს მკითხველს აინტერესებს, თუ რა განსხვავებაა სისტოლურსა და დიასტოლურ წნევას შორის, რომელი მათგანის აწევა უფრო სახიფათოა ჯანმრთელობისთვის. აი, რას გვირჩევენ ექიმი-კარდიოლოგები.**

— არტერიული წნევა პირდაპირ დამოკიდებულია რამდენიმე ძირითად პარამეტრთან: გულის შეკუმშვების ძალასთან, სისხლის რაოდენობასთან, რომელსაც გული გამოსტყორცნის თითოეული შეკუმშვის დროს, წინააღმდეგობასთან, რასაც სისხლის მიმოქცევას უწევს სისხლძარღვების კედლები.

არტერიული წნევა მაქსიმალურ დონეს აღწევს გულის მარცხენა პარკუჭის შეკუმშვის დროს. ამ დროს გული გამოსტყორცნის 60-დან 70 მილიგრამ სისხლს. სისხლის ასეთ რაოდენობას არ შეუძლია სისხლძარღვებში მაშინვე გავლა. ელასტური აორტა ფართოვდება, წნევა კი მასში იწევა. არტერიული წნევის ამ მაჩვენებელს ეწოდება სისტოლური. მსხვილ არტერიებში ნორმალურად მიიჩნევა სისტოლური წნევა ვერცხლის წყლის სვეტში 100-დან 140 მილიმეტრამდე.

გულის პარკუჭების შეკუმშვებს შორის პაუზის დროს სისხლძარღვების (აორტის და მსხვილი არტერიებისძ კედლები იწყებენ შეკუმშვებს და სისხლის შეტენვას წვრილ ძარღვებში — კაპილარებში. სისხლის წნევა თანდათან ეცემა და გულის შემკუმშვების პაუზის შემდეგ აღწევს მინიმალურ სიდიდეს (მსხვილ არტერიებში 70-დან 80 მილიმეტრამდე ვერცხლის წყლის სვეტშიძ არტერიული წნევის ამ მაჩვენებლებს უწოდებენ დიასტოლურს.

არტერიული წნევის სიდიდე დამოკიდებულია ინდივიდუალურ თავისებურებებზე, ცხოვრების წესზე, მუშაობის სახეზე და ასაკთან ერთად, შეიძლება, შეიცვალოს.

**აი, საორიენტაციო მაჩვენებლები ნორმალური არტერიული წნევისა — ასაკის გათვალისწინებით.**

16-20 წელი (სისტოლური — დიასტოლურიძ — 100-120 — 70-80
20-40 წელი — 120-130 — 70-80.
40-60 წელი — 140-მდე — 90-მდე
60 წელზე ზევით — 150 — 90.

## მსუქანი თევზი მხედველობას რგებს

**ხანდაზმულმა ადამიანებმა, მხედველობა რომ გაუუარესდათ, რათა ავადმყოფობა არ გაუჭიანურდეთ, კვირაში ორჯერ მაინც უნდა ჭამონ მსუქანი თევზი.** ცხიმოვანი მჟავეები ომეგა-3, მაკრელსა და ორაგულში რომ არის, ანელებენ და აჩერებენ კიდეც ავადმყოფობას როგორც ადრეულ, ისე დაავადების ბოლო სტადიაზე. ამას გარდა, მეცნიერებმა განაცხადეს, რომ მსუქანი თევზის რეგულარული გამოყენება მნიშვნელოვნად შეამცირებს ხანდაზმულთა მხედველობის გაუარესების რისკს.



სპეციალისტები ურჩევენ ხანდაზმულ ადამიანებს, ჭამონ მსუქანი თევზი კვირაში რამდენჯერმე.

## ეს ნიგოზია!



**კაკალი და, ბუნებრივია, ნიგოზიც ვიტამინების უნიკალურ ნაკრებს შეიცავს. ესაა ვიტამინი C, რომელიც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს გაცვლით პროგრამებში, ცილების შეთვისებასა და ორგანიზმის აღდგენით პროცესში. აქვეა ვიტამინი B, (ის აუცილებელია ნივთიერებათა სწორი ცვლისთვისძ, ვიტამინი A (საჭიროა კარგი მხედველობისთვისძ, აგრეთვე ვიტამინი P და ბევრი სხვა. ნიგოზი კალციუმის მდიდარი წყაროა, ის გაბედულად, შეიძლება, დავაყენოთ ისეთი პროდუქტების გვერდით, როგორიცაა ხაჭო, ყველი, რძე.**

მეცნიერთა ბოლო გამოკვლევებმა კი აჩვენეს, რომ, ნიგოზი (კაკალიძ სხვა მისთანებისგან განსხვავებით დიდი რაოდენობით შეიცავს ალფა-ლინოლენის მჟავასა და ალფა-3 ნახევრადგაჯერებულ ცხიმოვან მჟავას, გულის დაავადებებს რომ ამუხრუჭებს.

## ისუნთქეთ თავისუფლად

**მრავალი ქვეყნის ეროვნულ მედიცინაში წამყვანი ადგილი სუნთქვით ვარჯიშებს უკავიათ. ადამიანებს ოდითგანვე ესმოდათ მსუბუქი სუნთქვის მნიშვნელობა. მაგალითად, ახალშობილების მაგრად შეკვრა სხვა არაფერია, თუ არა ჩვილთა მსუბუქი სუნთქვისადმი მიჩვევა, რაც მოწიფულობის ხანში მრავალი სნეულების თავიდან აცილების საშუალებას იძლევა.**

რაც უფრო ღრმად სუნთქავს ადამიანი, მით უფრო მეტად სნეულია იგი. მძიმედ სუნთქვისას ორგანიზმი ჭარბად იცლება ნახშირორჟანგისგან, რაც, თავის მხრივ, ბრონქებისა და თავის ტვინის, კიდურების, კუჭ-ნაწლავისა და საშარდე გზების სისხლძარღვთა სპაზმებს იწვევს, რის შედეგად ირღვევა უჯრედებში მიმდინარე ბიოქიმიური პროცესების რეაქციები და ნივთიერებათა ცვლა, ხოლო ჟანგბადის ჭარბი მოხმარება მის უკმარისობას იწვევს.

პარადოქსი იმაში მდგომარეობს, რომ როცა ასთმით დაავადებულ კაცს სული ეხუთება და იგი ჰაერს ჭარბად ყლაპავს, ამით იგი საკუთარ მდგომარეობას აუარესებს. მაგრამ, როგორც კი სუნთქვას შეიკრავს, მაშინვე შვებას იგრძნობს.



ნოვოსიბირსკელი ექიმის, დოქტორ კონსტანტინე ბუტეიკოს აზრით, მრავალი სნეულების განკურნვის მეთოდიკის არსი სუნთქვის სიღრმის თანდათანობითი შემცირებაა. პირველ ხანებში პაციენტები ოფლში იწურებიან, როცა თავისუფლად სუნთქვას „სწავლობენ“, ამიტომ მათ ზოგჯერ საგანგებო კორსეტებსაც აცმევენ.

დაბოლოს, შეგიძლიათ საკუთარი თავიც შეამოწმოთ. ნორმალური ამოსუნთქვის შემდეგ, რამდენ ხანსაც შეძლებთ, უსიამო შეგრძნების წარმოქმნამდე, სუნთქვა შეიკავეთ. თუკი პაუზა შესუნთქვამდე 3-5 წამია, თქვენ მძიმე ავადმყოფი ხართ. თუკი პაუზა 30 წამია — მაშინ, დოქტორ ბუტეიკოს აზრით, ეს ჯერ კიდევ ღრმად მსუნთქავი და არა მთლად ჯანსაღი კაცია, ხოლო თუკი თქვენ 60 წამის მანძილზე დიდი ძალისხმევის გარეშე იკავებთ სუნთქვას, მაშასადამე ჯანმრთელობას არ უჩივით. 2-3 წუთის მანძილზე სუნთქვის შეჩერების უნარი კი ზეგამძლე ორგანიზმის ნიშანია. თუმცა, ამავე დროს, დოქტორი ბუტეიკო გვაფრთხილებს, რომ სუნთქვის შეკავება ეს მკურნალობის მეთოდი კი არა, მხოლოდ თვითკონტროლის საშუალებაა.

უცხოური პრესის მიხედვით

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

## კადრი



## ანეკდოტები

— სხვა პლანეტებზე ცხოვრობენ მოაზროვნე არსებები?
— კი.
— მაშინ რად არ გვიკავშირდებიან?
— ისინი ხომ მოაზროვნეები არიან...

* * *

ცოლ-ქმარი საწოლში წევს.
— ჩემო საყვარელო! — ეფერება ქმარი.
— საყვარელი რომ ვიყო, სხვა ქალებისკენ არ გაგექცეოდა თვალი.



— მაშინ ერთადერთი იქნებოდი, ახლა კი საყვარელი ხარ.

* * *

გაკოტრება — ეს ის სიტუაციაა, როდესაც მოვალეები გართმევენ პიჯაკს მაშინ, როცა მთელი ფული უკვე შარვლის ჯიბეებში გაქვს გადალაგებული.

* * *

ძვირფასო გოგოებო! საშუალება, რომელიც თქვენ ასპროცენტიანი გარანტიით უფრო სასურველსა და მიმზიდველს გაგხდით, ნახევარლიტრიან ბოთლებში იყიდება!

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქოჩულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.